ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲡᲐᲜ

ქართველობის გადასარჩენად

ᲘᲚᲝᲠᲘ

E-mail: r.jalagania@mail.ru

№298 (357) 23-30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2014 ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 30 ᲗᲘᲗᲘᲠᲘ

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ: “ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ” ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ”

ეს ამონარიდები დაიბეჭდა გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”, № 6, 2013წ.

დღეს ბევრი ლაპარაკობს იმ შეცდომებზე, რომლებიც “ქართულმა ოცნებამ” და მისმა შემქმნელმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ დაუშვეს, მაგრამ იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე მხარს უჭერდნენ “ქართული ოცნების” ბრძოლას სააკაშვილის ქართველთმოძულე რეჟიმის წინააღმდეგ, ამ კოალიციისა და მისი ლიდერის ბევრ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან. ამ ადამიანთა შორის არის პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, რომლის პოლიტიკური პროგნოზებიც საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ 100%-ით ახდა. აი რას სთავაზობდა იგი ივანიშვილის ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში:

“თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მითუმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის სამ თვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ — არა საქართველოს სასარგებლოდ.

საჭიროა გარღვევა, ამ სამუშაოს ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. საჭიროა მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პირი, რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან. პრემიერ-მინისტრი ამით ვერ დაკავდება — მას აქვს უდიდესი მოცულობის შიდა პრობლემები, დიდ დროს ართმევს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან, რომელთა ზეწოლასაც წარმატებით უმკლავდება; ამასთანავე, პრემიერი უმაღლესი სახელმწიფო პირია და მოლაპარაკებათა პროცესში შეთანხმების მიღწევის სტადიაზე უნდა ჩაერთოს, ანუ მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მანევრის საშუალება.

პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი “მედასავლეთის” იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან, ანუ პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ღამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს — კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან.”

ყველას გახსოვთ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევაც და ყველა თანმდევი პროცესიც ბიძინა ივანიშვილის კატეგორიული დაჟინების შესაბამისად წარიმართა. ივანიშვილმა არ შეისმინა არც რჩევა, არც საზოგადოების ნაწილის დაუფარავი უკმაყოფილება და მარგველაშვილი “საუკეთესო პრეზიდენტად” დაგვინიშნა. ბატონ ბიძინას და ქართულ საზოგადოებასაც “მაღალი თანამდებონის გაბღენძილმა უსაქმურმა” იმედები მალევე გაუცრუა.

გაზეთ “საქართველო და მსოფლიოში” ბატონი ალექსანდრეს სხვა ინტერვიუებიც გამოქვეყნებულა. დღეს სწორედ ამ ინტერვიუებიდან გთავაზობთ ამონარიდებს და თვითონ განსაჯეთ, რას ამბობდა ცნობილი პოლიტოლოგი ქვეყნისა და ერის საჭირბოროტო საკითხებზე და როგორ წარიმართა პროცესები საქართველოში.

ბუტაფორიული პრეზიდენტი და “მოქალაქეთა კავშირის” მესამე ეშელონი (“საქართველო და მსოფლიო”, №39 (226), 23-29 ოქტომბერი, 2013წ.)

“პრეზიდენტის თანამდებობა ერთი ადამიანისა და მისი უახლოესი გარემოცვის კომფორტულად ცხოვრების ბუტაფორიულ ადგილად აქციეს. თუ გახსოვთ, ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინათ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია. ამ თანამდებობაზე შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე პირიც რომ მოხვედრილიყო, ქვეყნისთვის ვერაფერს გააკეთებდა, ვინაიდან რეალური ძალაუფლება ისეთ სტრუქტურებს ეკუთვნის, როგორიცაა რესპუბლიკური პარტია, “თავისუფლების ინსტიტუტი” და სხვა სოროსული ორგანიზაციები, რომლებიც ივანიშვილმა პარლამენტში შეიყვანა, ხელისუფლებაში მოიყვანა და მათ უტოვებს საქართველოს. ეს იგივე ძალებია, რომლებიც საქართველოს ბოლო წლების მანძილზე მართავდნენ. “ნაციონალური მოძრაობა” ამ ძალების ერთ ფრთას წარმოადგენს, ხოლო ივანიშვილის კოალიცია — მეორე ფრთას. სწორედ ასე გამოეყო თავის დროზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ფრთა “მოქალაქეთა კავშირს”. ყველა ამ დაჯგუფების, პარტიისა თუ მოძრაობის ფესვები “მოქალაქეთა კავშირში” და სოროსის სტრუქტურებშია, ხოლო საერთო ხელმძღვანელად მათ ამერიკის საელჩო ჰყავთ. ამ ადამიანებს არ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.

დღეს საქართველოს რეალური პატრონების წინაშე დგას ქვეყნის ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემა. ცხადია, პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობისთვის ხმა არავის მიუცია, ხმა მისცეს ივანიშვილს, რომელმაც პარლამენტში შეიყვანა ის ძალები, რომელთა მოყვანაც დაავალეს — “მოქალაქეთა კავშირის” მესამე ეშელონი, რომელსაც დამოუკიდებლად პარლამენტში არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა”.

* უფლებებშეკვეცილი პრეზიდენტი მარგველაშვილის ბუტაფორიულობა დღეს თვალში საცემია — ის მხოლოდ ვეტოს დადებითა და ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებასთან პრესის ფურცლებზე პოლემიკითაა დაკავებული, ხოლო ის, რომ ივანიშვილს ურეიტინგო რესპუბლიკელებისა და ირაკლი ალასანიას პარტია “თავისუფალი დემოკრატების” ხელისუფლებაში მოყვანა ამერიკელებისგან ჰქონდა დავალებული, იმ მხარდაჭერით დასტურდება, რომელსაც სააკაშვილისა და “ნაციონალური მოძრაობის” ამერიკელი “მამები” მათ მიმართ იჩენენ.

რატომ არ არის საქართველო ჩინეთი, ბიძინა ივანიშვილი კი — დენ სიაოპინი (“საქართველო და მსოფლიო”, №31 (218), 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.)

“რაც შეეხება განცხადებას, რომ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დაპირებას შეასრულებს — ეს შეუძლებელია. საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. როგორც კი ჩაიგდებენ სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას, საჭიროების შემთხვევაში, მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გაერთიანება გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება. თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთანავე, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით.

შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი გახდა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო — უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, “ნაცმოძრაობის” სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს “დემოკრატიის შუქურად” აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკულ “ბახალებს” სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილმა თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეათრიოს, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემენ. ამგვარად, ივანიშვილმა შური იძია სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი. თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია, მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არასერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას”.

*** ალექსანდრე ჭაჭიას ვერსია გამართლდა — ივანიშვილი გადადგა პრემიერის პოსტიდან და პარლამენტიც ისეთი მივიღეთ, როგორიც ამერიკელებს სურდათ: ხალხის რჩეულებმა დასავლეთიდან თავსმოხვეულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს ერთხმად დაუჭირეს მხარი.**

უვიცი და ცინიკური საგარეო საქმეთა მინისტრი (“საქართველო და მსოფლიო”, №20(207). 5-11 ივნისი, 2013წ.)

“საგარეო საქმეთა მინისტრი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიისა და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას — დიდი სამამული ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის წაქცეული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.

*** ისეთი ადამიანი, როგორიც მაია ფანჯიკიძეა, საგარეო საქმეთა მინისტრობას რომ არ იმსახურებდა, ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა: მაია ფანჯიკიძემ, მისი ხელმძღვანელობით საგარეო უწყების წარუმატებულ მუშაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სახელმწიფოს ინტერესები სიძის, ირაკლი ალასანიას, ინტერესებს ანაცვალა და პოსტიდან გადადგა.**

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

მდინარე. ჭანისწყლის სიგრძე 63 კმ-ია, აუზის ფართობი – 315 კმ2. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, კერნახონას//კირნახონას მთა-საძოვარზე, ზ. დ. 1960 მ სიმაღლეზე. მდინარე გაედინება წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და მარჯვნიდან შეერთვის ხობისწყალს. ვახუშტიმ ჭანისწყლის სათავეც კარგად იცის და დინების მიმართულებაც („დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად“); ოღონდ მისი შესართავის ადგილი ეშლება და აღნიშნავს, რომ მდინარე თითქოს შავ ზღვას შეერთვის.

მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია წენწყარი//ჭენწყარი, რაც დასტურდება ტოპონიმური და ფოლკლორული მასალებით. ასე, მაგალითად, ჭანისწყლის ჭალაში ჩამავალ გზადაღმართს სოფ. სარაქონში წენწყარიშ ალაულარი „წენწყარის ჩასასვლელი“ ეწოდება; წენწყარიშ ჩქონი//წენწყარიშ ჭალე ჭალა-კუნძული და სახნავია იმავე სოფელში, ჭანისწყალთან ჩეღალის შესართავსზემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირზე (ცხადაია IV, 2008: 424).

ვახუშტი მიიჩნევს, რომ ჭანისწყალს სახელი მიუღია დასახლებული პუნქტისაგან. ესაა წალენჯიხა, რასაც მეცნიერი „ჭელენჯიხის“ ფორმით მოიხსენიებს („ჭანის წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო“). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნაშრომის ერთ-ერთი ხელნაწერის არშიაზე გაკეთებულია მინაწერი „ჭანიას წყალი“ (ვახუშტი IV, 1973: 778). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გადააზრების შედეგი უნდა იყოს (ცხადაია I, 2004: 206).

ჭანისწყალს მოიხსენიებს ვახუშტის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. მისი თქმით, მდინარეს, რაც ხოფის შემდეგ მიედინება, ადგილობრივნი ჭანისწყალს უწოდებენ, ხოლო რუკებზე იწერება ციანეო. ეს მდინარე ხოფის შენაკადია... მდინარეს ეს სახელი იმიტომ ეწოდება, რომ მასთან მოდის სავაჭროდ პატარა ნავებით მეზობელი ხალხი, რომელსაც ჭანი ჰქვიაო (ლამბერტი 2011: 200).

ენგურის სანაპიროზე მცხოვრებნი, – წერდა კ. სამუშია, – ჭანისწყალს მოიხსენიებენ წენდიხასა და წენწყარის ფორმით, ხოლო ჭანისწყლის პირას მცხოვრებნი – ჭენწყარისა და წენდიხას (ზოგან ჭანდიხა) ფორმით (სამუშია 1990: 142). ეს მსჯელობა დაზუსტებას საჭიროებს: ჭანისწყლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტია წენწყარი და ჭენ(ი)წყარი. წ-სა და ჭ-ს მონაცვლეობა, ე. წ. რეგრესული ასიმილაციით, უცხო არ არის მეგრულისათვის (მაგალითად, წაჩხურა//ჭაჩხვა, ?ინწყარი//ინჭა –ინჭ(ყ)ა(რი)). ხალხურ ლექსში ვკითხულობთ: „შქაშქას ყორშეფი აშა?უნცუ, თის? სქვამი ჭენიწყარი ლენტიშორო მოკო?უნცუ; შიგ კოშკები ჩართულია, მას ლამაზი „ჭენიწყარი“ ლენტივით გაჰყოლია“ (იქვე: 142). შდრ. მთა-საძოვარს სქურის სატყეო უბანში, ჭანისწყლის სათავესთან, წენწყარიშდუდი ჰქვია (ცხადაია, I, 2004: 201). წალენჯიხის ადგილობრივ ვარიანტებად კი გავრცელებულია წეენჯიხა, წენდიხა და წენჯიხა (იქვე: 200, 201; იხ. ძაძამია №7-8, 2004: 17).

IV. 7. 2. წალენჯიხა მდებარეობს ჭანისწყლის ხეობაში, მდინარის ორივე ნაპირზე, ზ. დ. 222 მ სიმაღლეზე. თბილისს 343 კმ-ით არის დაშორებული, ზუგდიდს – 25 კმ-ით. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე აღნიშნულია მდ. ჭანისწყალი და „წალენჯი(ხის მონ)ასტერი“ (ბურჯანაძე, I, 1959: 197).

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია, ვახუშტის სიტყვებით „გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი“, დგას „კეთილს ადგილს“, ქალაქის ცენტრის აღმოსავლეთით, ჭანისწყლის მარცხენა მხარეს აღმართულ მაღალ გორაზე. მარი ბროსე შენიშნავდა, რომ წალენჯიხის ტაძრის აშენება თარიღდებოდა 1334-1396 წლებით. ე. თაყაიშვილი, რომელმაც ძეგლი 1913 წელს შეისწავლა, წალენჯიხის აშენების თარიღად X-XI საუკუნეებს მიიჩნევდა (თაყაიშვილი III, 1914: 210). ამ თვალსაზრისს იზიარებდა ლ. მენაბდეც (მენაბდე I, 1961: 213). შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, XIII ს-ის დამდეგს დაწყებული ტაძრის მშენებლობა XIV ს-ში უნდა დასრულებულიყო (ძაძამია „მახარია“, №1, 2005: 4). ალ. მიქავას მოსაზრებით, წალენჯიხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი XIII-XIV სს-ის ქმნილებაა (მიქავა „მებრძოლი“, №12, 1963: 4; მისივე IV, 1963: 28-30; მისივე №4, 1974).

კომპლექსში შედის გრძელი გალავანი, რაც თავდაპირველად თლილი ქვით ყოფილა აშენებული. მისი დაქცევის შემდეგ ნანგრევებზე უბრალო რიყის ქვის გალავანი ამოუყვანიათ, რაც XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ჯაბუა 1999: 293; გაბისონია 2009: 5). გალავნის კარიბჭესთან, ჩრდილო-დასავლეთით, დგას გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული ქვის ორსართულიანი სამრეკლო (გაბისონია 2009: 5). ტაძრის დასავლეთით ყოფილა 40-45 მ სიგრძის გვირაბი და დადიანთა სასახლე. გვირაბმა დაზიანებული სახით დღემდე მოაღწია. სასახლის სვეტებზე შემდგარი ქვედა სართული თაღოვანია და სადღეისოდ ნაწილობრივ რესტავრირებული. ზედა სართული, საფიქრებელია, რომ ხის იყო. გალავნის სამხრეთ მხარეს შემორჩენილია სანახევროდ ჩამოშლილი კოშკი (იქვე: 50).

ტოპონიმ „წალენჯიხის“ ეტიმოლოგიაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს. პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილი გადმოცემა აქ ეკლესიის აშენებას თამარ მეფის სახელს უკავშირებს. სვანეთიდან მობრუნებულ დედოფალს ეკლესიის ასაშენებელი ადგილის აღწერილობა უკითხავს და მოუხსენებიათ: „ჭე დიხა“ (მცირე მიწა) მინდორია, ხოლო ქვემოთ „ჭე წყარი“ (მცირე მდინარე) დისო. თითქოს ამიტომ დარქმევია ადგილს ჭედიხა (–წენდიხა), ხოლო მდინარეს – ჭე წყარი (–წენწყარი) (ცხადაია I, 2004: 197).

ი. ყიფშიძე ტოპონიმს შემდეგნაირად ხსნის: „Цаленджиха село и общество в Зугдидском уезде Название это встречается и в форме წენ-დიხა (წენ можно принять за эквивалент ჭანია დიხა-ჯიხა крепость с диссибиляцией первого коренного, или же დიხა земля, тогда все название будет означать: Чанская крепость (земля)“ (Кипшидзе).

წალენჯიხის „ჭანის ციხედ“ გააზრების ი. ყიფშიძისეული თვალსაზრისი არ გაიზიარა არნოლდ ჩიქობავამ. მისი მოსაზრებით, წალენჯიხის პირველი ნაწილი წალენ „ქვემოს“, ხოლო ჯიხა „ციხეს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე წალენჯიხა იგივეა, რაც „ქვემო ციხეო“ (ჩიქობავა I, 1939: 45).

ს. ჯანაშიას ვარაუდით, წენში//წანში იგულისხმება არა საკუთრივ ზანები, არამედ ერთ-ერთი ტომთაგანი მეგრულ-ჭანური განშტოებისა. წანი ტომისაგან მიიღო თავისი სახელწოდება ადგილმა და ციხემ. ესაა „წენდიხა“. ხოლო მდინარეს, რაც ამ ციხეს ჩაუდიოდა, „წენწყარი“ ეწოდა, – დაასკვნის მეცნიერი (დამოწმება იხ. ძაძამია „მახარია“, №7-8, 2004: 17). ამ თვალსაზრისს იზიარებს მკვლევარი მამანტი ძაძამია და აღნიშნავს, რომ ტოპონიმებში – წენდიხა, წენწყარი და წენჯიხა, წინსართი წენ-სხვა არაფერია, თუ არა იმ ტომის სახელწოდება, ვისაც ეს მიწა-წყალი და ჯიხა „ციხე“ ეკუთვნოდა. მაშასადამე, მ. ძაძამიას აზრით, წენ-დიხა გულისხმობს „წენეფიშ დიხას“ (წენების მიწა), წენ-წყარი იგივეა, რაც „წენეფიში წყარი“ (წენების წყალი), ხოლო „წენეფიშ ჯიხა“ იგივე „წენების ციხეა“ (იქვე). მ. ძაძამია უსაფუძვლოდ მიიჩნევს ლამბერტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ჭანისწყალი მდინარეს აქ პატარა ნავებით სავაჭროდ ამომავალი, მეზობელ ტომთა სახელის – ჭანის, ჭანების გამო დაერქვა. „ეს მტკიცება უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, – შენიშნავს მ. ძაძამია, – რომ ისეთ განვითარებულ და კულტურულ ცენტრს, სადაც სავაჭროდ მიდიოდნენ მეზობელი ტომის ხალხები, შეუძლებელია, საკუთარი სახელწოდება არ ჰქონოდა, და აქ, მხოლოდ სავაჭროდ, ანუ დროებით ჩამოსული ტომის თუ ტომების (ჭანი თუ ჭანები) სახელწოდების მიხედვით მოენათლათ ეს მიწა, მისი წყალი და ციხე“ (იქვე). იგი ამასთანავე უსაფუძვლოდ მიიჩნევს გადმოცემას სახელწოდება „წენდიხას“ იქ არსებული ციხიდან (მეგრ. „ჯიხა“) წარმოქმნის შესახებ, „რადგანაც უსახელწოდებო და უკაცრიელ ადგილას თვით ციხის არსებობაც წარმოუდგენელია“ (იქვე).

წალენჯიხის ეტიმოლოგიას შეეხო ბაქარ გიგინეიშვილიც. „შესაძლოა ქართულში სავარაუდებელი წენი ფორმა იყოს გარჩენილი წალენჯიხის პარალელურად ხმარებულ წენდიხა-ში, რომელიც კომპოზიტს წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილია წენ, მეორე კი – დიხა/-ჯიხა, „ციხე“ (მეგრ.). წენ-დიხა მიღებულია წენჯიხასაგან და მას შეიძლება „ჭანთა ციხის“ მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ვარაუდობს ი. ყიფშიძე“ (გიგინეიშვილი „მაცნე“, №1).

სახელწოდება წალენჯიხა „წენდიხას“ ფორმით გვხვდება ხალხურ ლექსში (სამუშია 1990: 141). ამ ლექსზე დაყრდნობით კ. სამუშიამ გამოთქვა მოსაზრება წენდიხას „ჭანის მიწად“ გააზრების შესახებ. იგი იმოწმებს აქ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელებს: ოჭანეს (უბანი ქალაქ ჯვარში, ჯვარზენსა და ეწერს შორის, ლებოხალის სათავესთან), წენდიხას (წალენჯიხა), ჭენწყარს (ჭანისწყალი), ჭაქვინჯს და თვით აქაურ მაცხოვრებელთა გვარს – ჭანიას, და შენიშნავს, რომ ეს მაგალითები ამ უბანში ჭანების, ლაზ-მეგრელთა ფუძე-ადგილის არსებობის მაუწყებელია. მკვლევარი დასძენს: „ამ ადგილის სახელი ნამდვილად „წენდიხაა“ (ჭანის მიწაა) და არა წალენჯიხა“ (იქვე: 142-143).

ენგურის ხეობა

მდინარე ენგური. ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცევდა უცხოელ და ქართველ მემატიანეთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით. ჭანისწყლის ხეობისა და წალენჯიხის აღწერის შემდეგ ვახუშტის ნაშრომში გადმოცემულია ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა: „ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სუანეთსა და ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩ-ღდ, ქართულსა ტ-ჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტ-ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ-ღკე, ქართულსა უ-იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს საფაციო სათავიდამ“ (ვახუშტი IV, 1973: 778-779).

ენგურის ხეობის აღწერისას ვახუშტი ზოგჯერ სცოდავს. თ. ბერაძის დაკვირვებით, მას ხშირად ერთმანეთში ერევა „ჩდილო“ და ჩრდილო-დასავლეთი ან დასავლეთი. ამიტომ ვახუშტის ზემოთ მოხმობილი ცნობა ენგურის წალენჯიხის „ჩდილოთ“ დინების შესახებ შეცდომაა, რამეთუ ეს მდინარე წალენჯიხის მონასტრის დასავლეთით მოედინება (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 60). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ენგურსა და წალენჯიხას შორის მოედინება კიდევ ერთი მდინარე ჩხოუშიას სახელწოდებით, რაც ჯუმს მარჯვნიდან შეერთვის ახლანდელ სოფ. დიდი ნეძის კახათის ტერიტორიაზე. ჩხოუშიას ვახუშტი არ იცნობს და შესაბამისად არც მის ნაშრომშია დასახელებული.

შეცდომითაა მინიშნებული მდინარის სათავეც: ენგური მოედინება ზემო სვანეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან, და მისი სათავე ბევრად დაშორებულია „სვანეთსა და ოდიშს შორისს“ მდებარე „კავკასს“, ანუ ეგრისის ქედს. ენგურის ზემო წელი სვანეთშია, შუა წელზე ეგრისის ქედს ჩაუვლის დასავლეთით (ქ. ჯვარის შემოგარენი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში), ხოლო ქვემო წელი მოიცავს ოდიშს დაბლობს, სოფ. ტყაიადან (ჩხორიის თემი) შავი ზღვის შესართავამდე.

საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – ეგური. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბატონიშვილი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა გადმოსცემდეს. „ის გარდამავალი უნდა იყოს „ეგრიდან“ „ენგურამდე“, – წერს თ. ბერაძე და თავისი მოსაზრების გასამყარებლად გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე საბუთსაც იმოწმებს. 1512-1532 წლებით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად „მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ეგურის პირას ნაჟანეო 60 კომლი კაცით“ (მასალები... 1964: 78). ამას გარდა, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელი გვამცნობს: „...ელიბახუ ნანაისშლი ეგურის გადმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“ (კაკაბაძე 1921: 92).

ვახუშტი ფიქრობს, რომ ენგურს („ეგურს“) სახელი უნდა მიეღო ამავე სახელწოდების დაბისაგან („ეგური, წოდებული დაბის გამო“), მაგრამ საქმე ისაა, რომ მის მიერ შედგენილ არც ერთ რუკაზე ამ სახელის მატარებელი დაბა აღნიშნული არაა (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 60-61). ეტყობა, რომ ისტორიკოსსაც ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტის რეალურად არსებობაში.

ენგურის აღმნიშვნელად „ეგური“ ფორმას ვახუშტი სხვაგანაც იმოწმებს. კერძოდ, ოდიშის საზღვარზე მსჯელობისას წერს: „კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა“ ოდიშის საზღვარს წარმოადგენსო (იქვე: 776); „კუალად ამ ეგურის ჩდილოთ“ მდინარე დადისწყალი მიედინებაო (იქვე: 779) და ა. შ.

მდინარის სახელწოდება დატურდება ინგირი და ინგ რი ფორმით (ყიფშიძე 1914: 217-218). ი. ყიფშიძის განმარტებით მდინარის სახელწოდებაში (ინგირი, ენგური) ენ-//ინ-პრეფიქსია, ნ- ამ პრეფიქსის ჩანართია, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია მეგრულისათვის. ე//ი მაწარმოებელ პრეფიქსებს წარმოადგენს. ენგური, მისი აზრით სამეგრელოსაც ნიშნავს (იქვე).

ლამბერტი კოლხიდის „უმთავრეს და უფრო ცნობილ“ მდინარეებს შორის ასახელებს ენგურს, რაც, მისი აზრით უწინდელი ასტელეფოსი უნდა იყოს. გვთავაზობს მდინარის აღწერილობასაც (ლამბერტი 2011: 200-201). ჟან შარდენი იმოწმებს ენგურის ა-ხმოვნიან ფორმას: ლ-ანგურ (კახაძე 1993: 382). მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს ნგოურ-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც.

ანაკლია. შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. ვახუშტი მას მოიხსენიებს ანაკრიას ფორმით: ენგური „...მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა... ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე... შემდგომად შემუსრეს ოსმალთა... და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“ (ვახუშტი IV, 1973: 779).

უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ანაკლია თავის რუკაზე დატანილი აქვს კასტელს (კასტელი 1976: 187; სურ. № 524); ერთ-ერთ ნახატზე კი შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში“ (სურ. №473). პირველი წყარო, სადაც ანაკლიაა დასახელებული, არის ლუი გრანჟიეს 1615 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი ამ პუნქტს ჰერაკლიად მოიხსენიებს. ლევან II დადიანის 1628 წლით დათარიღებულ შეწირულობის სიგელში აღნიშნულია, რომ მთავარს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს „ანაკლიას კოჩილაი ჩოდია... კიდევ ანაკლიას ფაცულაი წაწულუა“ (კაკაბაძე 1921: 11, 41; 19). რომის პაპისადმი პატრ ძამპის მიერ 1675 წელს გაგზავნილ წერილში დასახელებულია „ანაკრია“ და „არკამა“ (თამარაშვილი 1902: 12: 204-205). ანაკლიაზე ცნობები დაცულია ფრანგი მოგზაურის – ჟან შარდენის ნაშრომში. იგი საუბრობს ანაკლიის ეკლესიაზეც (შარდენი 2011: 255). ლამბერტი კოლხიდის (ოდიშის) მონასტერთა ჩამონათვალში ასახელებს ანაკრიას (დ„ ნარგჰია) და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (ერაცლეა) იყო. მისივე მითითებით აქ უწინ საეპისკოპოსოც ყოფილა, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება (ლამბერტი 2011: 138). გიულდენშტედტის თქმით ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავთან (გიულდენშტედტი I, 1962: 325, შენიშვნა). 1823 წლის 6 (18) ივნისს სოხუმიდან ფრეგატით გადმოსული გამბა მეორე დღეს ანაკლიას სწვევია (გამბა 1987: 94). ანაკლიას ახსენებს შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან XIX ს. 30-იან წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში. ანაკლია მოხსენიებულია მორიც ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და „სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო“ პუნქტი (ვაგნერი 2002: 134). ედუარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს (აიხვალდი 2002: 184). იგი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია“ (ვაგნერი 2002: 211). საინტერესოა აიხვალდის ცნობა მდ. ანაკლიის შესახებ: „...მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უხიფათო გასასვლელად“ (იქვე: 197). „ანაკლიის“ სახელწოდებით მდინარე ცნობილი არაა. სოფლის ტერიტორიაზე გაედინება თიქორი, რაც ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ანაკლიის თემი) უერთდება შავ ზღვას. მისი შენაკადია ღელე ფართოღალ, რაც სოფ. ცვანედან მოედინება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაკლია თიქორის უწინდელი სახელწოდება ყოფილიყო.

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიზეზი ქართველი ერის სულიერი დაცემისა

ბევრ მამულიშვილს აწუხებს ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ხელისუფლებას არა, რადგან ჩინოვნიკები უზრუნველყოფილი და კმაყოფილია და მათ თვალში ყვავის ქვეყანა. ამიტომ არც სწუხან დღევანდელი მდგომარეობის გამო.

მ/წლის 16 ნოემბრის ქადაგებაზე მეუფე ქრისტეფორემ (წამალაიძე) დიდი გულისტკივილით აღნიშნა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მრევლს მოგვმართა: **როგორია საზოგადოებრივი აზრი, რაა მიზეზი ქართველი საზოგადოების გათითოკაცებისა, ურთიერთ გაუტანლობისა, ოჯახების რღვევისა, საზოგადოების უჯანსაღესი ნაწილის საზღვარგარეთ გადახვეწისა, განსაკუთრებით, ქართველი მოსახლეობის საგანგაშოდ კლებისა, საქართველოს მიწა-წყლის უმოწყალოდ გაყიდვისა და გასხვისებისა, ეროვნული ტრადიციების უარყოფისა და მორალურ-ზნეობრივად მიუღებელი, ავადმყოფურ ანომალიათა ხელისუფლების მიერ ცხოვრების წესად დაკანონებისა, უღმერთობისა და უსიყვარულობისა, სიძულვილისა და ეგოიზმის ზეობისა, მოკლედ, ქართველი ერის ესოდენ სულიერი დაცემისა** და გვთხოვა წერილობით წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები.

შეუძლებელია, მეუფე ქრისტეფორეს მიერ აღწერილი მდგომარეობის რაიმე ხერხით შემსუბუქება, რადგან ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვრამდეა მისული და ასეთის ცდა, უბრალოდ, თავის მოტყუილება იქნებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სავალალო მდგომარეობის მიზეზი დრამატიული ეპიზოდებით დატვირთული ქართველი ერის ცხოვრების უშორეულესი წარსულიდან მომდინარეობს. თუმცა, შესაძლოა, დღეს სულიერი დაცემის ბევრი სხვადასხვა მიზეზი არსებობდეს, მაგრამ ყველა სხვა მიზეზთა გამომწვევ უპირველეს და უმთავრეს მიზეზზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო.

მართალია, ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი კულტურის მქადაგებელნი ბევრი გვყავდა, მაგრამ ფაქტია, რომ გიორგი ჭყონდიდელის შემდეგ გერონტი ქიქოძემდე ქართველ ერს გამოკვეთილი ეროვნული იდეოლოგი აღარ გვყოლია. ხოლო ჭყონდიდელის გენია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტრის მრისხანე ძალას გაქცეულ და მთებში გამოქვაბულებსა და ტყეში, გახიზნულ ქართველ ხალხს, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, უძლეველად მიჩნეულ მტერთან გაამარჯვებინა. ამ ორი გენიალური პიროვნების ტანდემმა ოქროს ხანას დაუდო საფუძველი და, მიუხედავად შემდეგდროინდელი მრავალი ტრაგიკული მოვლენებისა, დღემდე მოაღწევინა ქართველ ერს.

წყდიად დამეში მოულოდნელ გაელვებას ჰგავდა გერონტი ქიქოძის (1885-1960) გამოჩენა სამოღვაწეო ასპარეზზე. სტატიაში „ენა და ეროვნული ენერგია“ განვითარებულ აზრს მთლიანად ვიზიარებ, როცა ის ქართველი ერის სულიერი გაკოტრების მიზეზად ქართული ენის უცხო ენათა ლექსიკით დანაგვიანებას მიიჩნევს (აკად. აკაკი შანიძის გამოთვლით, უცხო ენათა ლექსიკა სალიტერატურო ქართულში 66%-ზე მეტია), რომელიც უკონტროლოდ შემოიჭრა ჩვენში, განდევნა მშობლიური ლექსიკა, რომელიც იძლეოდა ეროვნულ ენერგიას და შეეძლო ეშვა ეროვნული იდეოლოგი, მაგრამ უცხო ენაზე, რამდენად სრულყოფილად არ ფლობდეს მას, არ აზროვნებს ადამიანი და უცხო ენათა ლექსიკით ესოდენ დანაგვიანებულ ქართულ ენას, ალბათ, არ შეუძლია შვას ეროვნული იდეოლოგი, რომელიც საკუთარ მოსახლეობას სამშობლოს პატრიოტ და თავდადებულ ერთიან ძალად აღზრდიდა. ამის გამო თავდადებული მამულიშვილები, ალბათ, ვერ წვდებოდნენ ნეგატიური შედეგების გამომწვევ ჭეშმარიტი მიზეზის სიღრმეებში და უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ შედეგს ებრძოდნენ მუდამ. რა თქმა უნდა, ამით აჩერებდნენ ნეგატიური შედეგის უფრო განვითარებას, ან საერთოდ სპობდნენ, მაგრამ მხოლოდ დროებით, რადგან ღრმად ფესვებგადგმული მიზეზი მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი ღვთიური კანონის ძალით მალე ისევ ახალ პრობლემას წარმოშობდა და ჩვენი მამულიშვილების უზარმაზარი ენერგია უშედეგოდ ეწირებოდა პრობლემებთან ბრძოლას მაშინ, როდესაც, შესაძლოა, შედეგებთან ბრძოლაში დახარჯული ენერგიის მეათასედიც არ დასჭირვებოდა ყველა ჩვენი უბედურების გამომწვევ უმთავრესი მიზეზის აღმოფხვრას.

რა მიზეზია ეს მიზეზი?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა გავაცნობიეროთ, რამ განაპირობა იბერიული ცივილიზაციის მთელ ნახევარსფეროზე გავრცელება და „აყვავებული კულტურის“ (ნიკო მარის სიტყვებია) შექმნა? – უეჭველია, ეს განაპირობა ღმერთთან, უზენაეს შემოქმედთან, თუ მის ფიზიკურ გამოვლინებასთან, ბუნებასთან ადამიანის სულიერმა და ფიზიკურმა სიახლოვემ, რაც თავის მხრივ განაპირობა უზენაესის ჩანაფიქრმა „შეექმნა კაცი ხატად თვისად“, ხოლო თავისი ხატი, ანუ სიბრძნით მსგავსი არსება შემოქმედს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ჰყოლოდა თავისი სიდიადის შემფასებელი მოაზროვნე არსება, რომლის გარეშე, თვით შემოქმედისა და მისი ფიზიკური გამოვლინების – უსასრულო სამყაროს არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რადგან არავის ეცოდინებოდა, შემოქმედის გარდა, მის არსებობაზე, ისე, როგორც ზეკაცის, ბრძენის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს, თუ მისი სიბრძნე რეალიზებული არ იქნება საზოგადოებაში.

როგორ ჩამოყალიბდა ორფეხა ველური ცხოველი, რომელსაც გაბმული ზმუილის გარდა არაფერი შეეძლო, მეტყველ და მოაზროვნე არსებად? – ბიბლიაში ვკითხულობთ: „თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავიდანვე ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“ (იოანე 1-1:5). ე.ი. თავდაპირველად იყო ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, და ის იყო ღმერთთან, უზენაესი შემოქმედის ფიზიკურ გამოვლინებასთან, ანუ ბუნებასთან და ის იყო ღმერთი, რადგან მან ბგერა-სიტყვამ, მეტყველებამ შექმნა ყველაფერი, რადგან ადამიანის მიერ მეტყველების დაწყების შემდეგ შეერქვა ყველაფერს თავისი სახელი. მეტყველების უნარმა ადამიანს გამოუმუშავა აზროვნების უნარი, ხოლო ვინც აზროვნებს ისაა ცოცხალი, ანუ ადამიანის გონების განათება-გასხივოსნებაა სიცოცხლე. ამიტომაა ნათქვამი: „მასში (სიტყვაში, კ.ფ.) იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“.

უზენაესმა შემოქმედმა ადამიანს, აზროვნების უნარი რომ გამოემუშავებინა, თავიდანვე დაანათლა აღქმის უნარი, შემდეგ კი თავისი ფიზიკური გამოვლინების – ბუნების „პირით“ უკარნახა სამეტყველო ბგერები, რომლებიც ნებისმიერ სხვა ენაში წარმოადგენს მხოლოდ სიტყვების საშენ მასალას, ხოლო ერთადერთ იბერიულ ენაში გააჩნიათ სრული სიტყვის მნიშვნელობაც. ამიტომ თანხმოვან ბგერებს ვუწოდებთ ბგერა-სიტყვებს, რადგან ისინი არ არსებობენ, ცალკე აღებული, ირაციონალური ᲐᲑ ბგერის თანხლების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბევრ ბგერა-სიტყვას გააჩნია რამდენიმე ომონიმი, ანუ მნიშვნელობა. ბგერა-სიტყვების წარმოშობის მექანიზმი და მნიშვნელობანი დღემდე შემონახული აქვს, ერთადერთს დედამიწაზე, იბერიულ ენას, ხოლო ნებისმიერ სხვა ენაში ბგერა ცალკე აღებული აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. საოცრება ისაა, რომ იბერიული ბგერა-სიტყვების მნიშვნელობაში ასახულია ადამიანის ყველა ის თვისება, რომლებმაც ორფეხა ველური ცხოველი ადამიანად აქცია. ე.ი. ღვთით, ბუნებით ნაკარნახევი ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები აკავშირებდა ადამიანს თავის შემოქმედთან (ბუნებასთან), რომელთანაც იყო თავიდანვე ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები.

ბუნებრივია, ღმერთთან, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე შემოქმედთან მოკავშირე უძლეველი იქნება. ამიტომ ვრცელდებოდა იბერიული ცივილიზაცია, არამარტო პირინეიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე, არამედ, ალბათ, მთელი დედამიწის ზურგზე, რადგან, ცნობილია, რომ ძველ მაიას ტომებს (სამხრეთ ამერიკა) ჰქონიათ იბერიულთან იდენტური მრავალი სიტყვა (იხ. ვლ. ალფენიძე და რევაზ ერისთავი). დღეისათვის კი ქართული ენის ასპარეზი შევიწროებულია. ამასთან, როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, ის **„შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით. საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება“** (გ. ქიქოძე, „ენა და ეროვნული ენერგია“, ჟ-ლი **ისტორიული მემკვიდრეობა,** №8 (49) 2014, გვ. 24). ყველაფერი სრულიად კანონზომიერია. მე ის მიკვირს, ღვთიური ენის ხელისმკვრელი და უარმყოფელი ერი, საერთოდ, როგორ ვარსებობთ, თორემ ისეთი მდგომარეობა, როგორშიც დღეს ვიმყოფებით, სულაც არაა გასაკვირი.

გონიერ მკითხველს უთუოდ დაებადება კითხვა: **როგორ დაუშვა შემოქმედმა თავის მოკავშირე იბერთა ესოდენ სულიერი დაცემა?** (იბერი იბერიულ ენაზე **უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს** ნიშნავს). – ღმერთს არ სჭირდებოდა რობოტი, რომელსაც საკუთარი აზროვნება არ გააჩნია და სამართავია, არამედ სჭირდებოდა არსება, რომელიც ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით დაბრძენდებოდა, დაინტერესდებოდა ღვთიური (ბუნებრივი) კანონზომიერებებით, შეიცნობდა მას და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრებით მოიპოვებდა საერთო ბედნიერებას. ამიტომ უვლენდა ღმერთი ადამიანს ახალ-ახალ განსაცდელს, რომლის დაძლევა მას შეეძლო, თუ კი ის სათანადო მონდომებას გამოიჩენდა. ადამიანიც, როცა წინააღმდეგობათა დაძლევით მიღებულ სიხარულს შეიგრძნობდა, ღმერთს მადლობას სწირავდა განსაცდელის მოვლენის გამო და სულიერად იზრდებოდა. მაგრამ იბერიული მოდგმის ქართველმა ერმა დაივიწყა ღმერთთან დამაკავშირებელი – სრული სიტყვის მნიშვნელობის მქონე ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც ღვთიური ენერგიის მომცემი იყო და მის მაგივრად გაითავისა უცხო ენათა ლექსიკა, რომლითაც საღი აზროვნება შეუძლებელია. შესაბამისად, დაივიწყა ღვთიური ბგერა-სიტყვებისა და ძირისეული ფორმების მოკარნახე მშობლიური მიწა-წყლის მნიშვნელობა და სიყვარული, რომლის სიდიადეს როცა შეჰხაროდა, ჰყვაოდა მისი კულტურა, მაგალითი იყო სხვა რასის წარმომადგენლებისათვის და „იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა მთელ დედამიწაზე“. შედეგად, ღვთიური საჩუქრისადმი უგერგილო დამოკიდებულებითა და უმადურობით, „აყვავებული კულტურის“ მქონე იბერიული ცივილიზაცია დღევანდელი მდგომარეობის პატარა საქართველომდე დამცირდა.

იმ ხანად, როგორც ბიბლიაში წერია, „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა (იგულისხმება მთელი მსოფლიო, კ.ფ.) ერთ ენაზე მეტყველი“ და ეს მსოფლიო ენა იყო ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა. არ ვაზვიადებ, ამის დასტურია შემდეგი ჭეშმარიტებები: იბერიული ენა, მეტნაკლები მოცულობით, დღემდე მოიცავს მსოფლიოში გავრცელებულ ოთხივე ტიპის ენათა ენობრივ მონაცემებს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, შვიდტომეული, ტ. I, გვ. 160-172); იბერიული ენის ლექსიკა მოიცავს მილიარდ 410 მილიონ სიტყვას პოტენციურად შესაძლო ფორმებითურთ (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, „მეგრული ენა – ერის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“, ოცტომეული, კომპიუტერული ვერსია), მაშინ, როდესაც ინგლისური ენა მოიცავს 490 ათას სიტყვას და, როგორც რეკორდული მაჩვენებელი, შეტანილია გინესის წიგნში; კაცობრიობის პირველი დამწერლობისა და პირველი ბეჭდვითი ტექნიკის შემქმნელები იბერები ყოფილან, რასაც ადასტურებს 4000 წლის წინანდელი ბეჭდვითი ძეგლი – “ფესტოსის დისკო”, რომელიც ყველაზე უძველესია დღეისათვის აღმოჩენილ უძველეს წერილობით ძეგლებს შორის, გაშიფრა ჩვენმა თანამემამულემ – გია კვაშილავამ იბერიულ ენაზე. ეს იყო ეპოქის აღმოჩენა, რომელიც მთელი მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა აღიარეს, ხოლო ქართველმა მეცნიერებმა ეს მოვლენა ტრაგიკულად აღიქვეს და, მგლოვიარეთა პოზაში, უსირცხვილოდ დუმან; ასევე, ამის დასტურია თქვენი მონა-მორჩილის აღმოჩენები კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი ერის ვინაობის შესახებ, რაშიც არავინ მედავება, მაგრამ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საიდუმლოდ ამიკრძალა ამ საკითხზე მოხსენებების გაკეთება და პარალელურად გააფთრებული ბრძოლა გააჩაღა იბერიული კვალის წასაშლელად.

ამ ვერაგული მიზნის დამადასტურებელი ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ წარმოვადგენთ შემდეგს: 2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა **საქართველოს ისტორია,** ოთხტომეული, რომლის I ტომში, 264-ე გვერდზე წერია საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარის – აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მიერ, 15 წლის წინათ გარდაცვლილი მეგრული წარმოშობის ავტორის – ანდრია აფაქიძის ნაშრომში შეტანილი ფრაზა: „იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“, თორემ ეროვნულ ცნობიერებაში, ასეთი სახელწოდებით, სახელმწიფო არ არსებობდაო, მაშინ, როდესაც ასეთის გაფიქრებაც კი აკად. ანდრია აფაქიძისათვის წარმოუდგენელი იყო. აღნიშნული ფრაზა ეკუთვნის – მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, რომელიც დაშნაკსომეხთა საქმეს აკეთებს. და, რომლის გავლენით, საპატრიარქომ, ამ ფრაზის საქართველოს ისტორიაში შეტანისათვის, მარიამ ლორთქიფანიძე წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. ამით მან სტიმული მისცა სულგაყიდულ მეცნიერს და გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან იბერიული ენის ქართული ენის დიალექტად მსოფლიოს აღიარებისათვის, რომელიც, თურმე, „ჩვ.წ. აღ-ით III საუკუნეში წარმოშობილა“, როცა ქართი-ქართლი გარე სამყაროსათვის მე-10 საუკუნემდე უცნობია. ხოლო **იბერი** და **იბერია,** თვით სახელწოდებაა და ცნობილია ძვ.წ. აღ-ით მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდიდან. ტყუიან მ. ლორთქიფანიძე და ანანია ჯაფარიძე, როცა ამბობენ „იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“, რადგან ბერძნულ (ელინურ) ბიბლიაში [თ]**იბერის** ადგილზე მოხსენიებულია თობელი (< თობერი), ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში **ტაბარი** (< თაბარი), **ტიბარი** (< თიბარი) და **ტიბერი** (< თიბერი), რომელთა ეტიმოლოგიას ვერ ხსნის ვერცერთი ენა მსოფლიოში, მათ შორის, ქართულიც, როცა ამას ბრწყინვალედ და მარტივად ახერხებს იბერიული ენა; და კიდევ, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში გაჟღერდა ცნობა, რომ აკად-ების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის თაოსნობით მზადდება ხელმოწერების შეგროვება მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მისამართით, რომლის თანახმად, საბოლოოდ უნდა ამოიშალოს ყველა სხვა ეთნიკური და სახელმწიფოს სახელწოდებანი, გარდა ქართი-ქართლისა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა 899 წლამდე არასოდეს ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი), რაც მხოლოდდამხოლოდ დაშნაკ-სომეხთა წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ყოველგვარი წინააღმდეგობა ეხსნება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ მოჭორილი სიცრუის [აქამომდის (ძვ.წ.აღ. 550 წლამდე, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო... ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა ეთნარქის – ჰაოსის კუთვნილება] ცხოვრებაში რეალიზებას.

რა არის გამოსავალი?

– გამოსავალი მარტივია, მაგრამ ადვილი აღსასრულებელი ნამდვილად არ არის. თუმცა შეუძლებელიც არაა, ოღონდ კეთილი ნება იყოს ამისა.

უკონტროლოდ რომ შემოგვაქვს უცხოური სიტყვები, რომლებიც, აკაკის არ იყოს, „გულს ტკენს და ყურს ეჩხირება“, რატომ არ შეიძლება აღვადგინოთ იბერიული ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები საერთო სალიტერატურო ენაში, რომელთა წარმოშობას და მნიშვნელობების მიღებას გარკვეული რეალობა უდევს საფუძვლად და ბუნებისგანაა მოტივირებული? იბერიული ლექსიკით ქართული ენის გამდიდრება აუცილებელიცაა, რადგან იბერიული ენა ხსნის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ძირისძირამდე, ხოლო ვერცერთ სხვა ენაზე ვერ ხერხდება, თუნდაც, საკუთარი ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა. ამდენად, იბერიული ენაა ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი. ამიტომ აუცილებელია იბერიული ენის პროტოქართულ ენად, არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო აღიარება. ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების წარმომავლობისა და მნიშვნელობების მიღების საფუძვლების გაცნობიერება ნიჭიერ ქართველ ხალხს საოცრად დააახლოებს დედაბუნებასთან, რომელმაც ადამიანად აქცია, საკუთარი თავივით შეაყვარებს მას და აზრუნებს მის მომავალზე. ვფიქრობთ, ესაა გამოსავალი!

ნეგატიური შედეგის აღკვეთა აუცილებელია, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაა გამოსავალი, რადგან, სანამ ყველა უბედურების გამომწვევი უმთავრესი მიზეზი არ აღმოფხვრილა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ისევ გამოიწვევს ახალ უბედურებას.

ჩვენი აზრით, გააფთრებულ ანტიეროვნულ საქმიანობას იმიტომ ეწევიან, რომ მათ არ იციან რამდენად მეტი ენით აუწერელი სიკეთის მოცემა შეუძლია არამარტო ქართველი ერისავის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის იბერიული ფესვების გახსენება-აღდგენა-გათავისებას, ვიდრე იბერიული ენის როლის დაკნინებითა და მოკვდინებით ჰგონიათ მიიღებენ.

ჩვენი აღმოჩენები, ალბათ, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც იბერიულ ენას შემოუნახავს და დღეს ნაცარმიყრილია.

ამიტომ ქართველო ერო, ნუ დაუშვებ იბერიული ენის მოკვდინებას მანამდე მაინც, სანამ ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი იბერიული ენის მონაცემები სალიტერატურო ქართულში არ აღდგენილა!

კუკური ფიფია,
„ᲨᲐᲮᲘᲡᲘᲡᲐ“ და „ᲐᲘᲐᲡ“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

მისტიური ნოსირი

ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიაა პალესტინა, სადაც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, დაიბადა ბიბლია; მაგრამ რომელ ხალხს უნდა მიეწერებოდეს მისი დაბადება? სანამ პალესტინაში ისრაელიანები შევიდოდნენ ამ ტერიტორიაზე, მოსახლეობდნენ ქანაანელები, ამორეველები და სხვა ტომები. სხვათა შორის მიჩნეულია, რომ ანბანური დამწერლობის გამოგონება ქანაანელებს ეკუთვნით. ეს მოხდა 2000-1600 წწ. პერიოდში ჩვ.წ-მდე. ქანაანელები და ამორეველები იბერიული მოდგმის ტომები იყვნენ; მათი სახელებიც კი იბერიულად (კოლხურად) იხსნება, რომელსაც ახლა აქ არ მოვიყვან. როგორც ფაბრ დ'ოლივე ამბობს: " ძველ ებრაულ ენას თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან," აქედან კი უბრალო ლოგიკით გამომდინარეობს, რომ ეს გაუკეთებიათ ქანაანელებს და სხვა კულტურულად დაწინაურებული ტომების წარმომადგენლებს, ხოლო დროთა განმავლობაში ყველაფერი ეს ისრაელიანებმა მიითვისეს და თავისად გადააკეთეს. აქვე მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა, რომ ვისაც ბიბლია ერთხელ მაინც წაუკითხავს, მისთვის აშკარა გახდებოდა ზოგიერთი პასაჟის აბსოლუტური უზნეობა და ქრისტიანულად მიუღებლობა. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს არც ქანაანელთა და არც იბერთა მოდგმის სხვა ტომის წარმომადგენელთა ნამოღვაწარი არ იქნებოდა, არამედ სხვათა მიერ დროთა განმავლობაში შერყვნილი და სახეშეცვლილი.

პალესტინა, რომ იბერიული სამყაროა და აქედან გამომდინარე ბიბლიური ტექსტები კოლხური მოდგმის ხალხების მიერაა შექმნილი, ეს სჩანს ცნობილი მკვლევარის ბათლომე სართანიას ნაშრომიდან "ძველი კოლხეთი", საიდანაც მოვიყვანთ ციტატებს (ჟურნალი "აია", N7, 1999, გვ.91-92). ამ ნაშრომში ვკითხულობთ: "იესო ქრისტე – ვინ იყო იგი?!". ავტორი აღწერს სირიის, პალესტინის და იერუსალიმის გეოგრაფიულ არეალს და ამბობს: "... სწორედ ეს კუთხეა იესო ქრისტეს სამშობლო – განსაკუთრებით პალესტინა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ჩვენი წინაპრები – ქალდები 500-წელიწადზე მეტხანს ფლობდნენ ბაბილონიას, სირია-პალესტინას და იერუსალიმს. ამ ხნის მანძილზე ამ ქვეყნებმა განიცადეს მეგრელიზაცია, იქ დანერგილი იქნა მეგრული ენოვანება, კულტურა და ჩვეულები! ამას ადასტურებენ ამ ქვეყანაში შემორჩენილი და დანერგილი მეგრული სახელები და ტერმინები. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ სირიაში შემორჩენილ მეგრულ ზოგიერთ სახელებსა და ტერმინებს. ასე მაგალითად,

ღვთაებათა სახელები: ალერტი-ქვესკნელის ღმერთი – ზუგდიდის რაიონში სოფელ ყულისკარში ახლაც არსებობს ღვთაება – ალერტის ნასაყდრალი. ყული – სირიაში ღვთისა და მეფის წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი. ზუგდიდის რაიონში ყულის ხატი სირიის რომელიმე ღვთაების წარმომადგენელია, რომლის სახელს რევოლუციამდე ატარებდა სოფელი ყულის კარი, სადაც სპეციალურ ეკლესიაში დასვენებული იყო ეს ხატი;

ადგილთა სახელები: ბარხა – ასირიაში სოფლის სახელია. სამეგრელოში არის ერთი სატყეო უბანი-ბარხა. კულუმური-ასირიაში ციხე-სიმაგრის სახელია. სამეგრელოში-სიტყვა კულუმური მტკიცე ნებისყოფას აღნიშნავს. ... ჯეგეთა სირიის იმ მთის სახელია, სადაც განვითარებული იყო მეჯოგეობა. სამეგრელოში ხობის რაიონში ერთ მთას ჯეგეთა ეწოდება, სადაც დგას ჯეგეს ეკლესია. ჯეგე-მეგრელების მეცხოველეობის უძველესი ღვთაების სახელია.

ადამიანის სახელები: ბურდა-სირიის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდლის სახელია. სარდალი ბურდა მოწინააღმდეგის ტერიტორიას ცეცხლს უკიდებდა ომის დროს. სამეგრელოში ბურდა გავრცელებული სახელია. მძლავრ ცეცხლს მეგრულად ბურდუნა ეწოდება. "ქიმეჩი ბურდუნა", მიეცი ბურდასეული ცეცხლიო.

კიკული-ასირიელი მწერლის სახელია-სამეგრელოში ეს სახელი ახლაც გავრცელებულია.

ტუბუხი – სირიის იმ მეფის სახელია, რომელიც ომის დროს არცერთ ტყვეს ცოცხალს არ ტოვებდა. სამეგრელოში ტუბუხი გამოუვალ განსაცდელს ნიშნავს. კიკია (ასირიის მეფის სახელია). ეს სახელი სამეგრელოში გავრცელებულია და სხვა."

ჩვენის მხრივ აქვე დავამატებთ რამოდენიმე ჩვენეულ ეტიმოლოგიას: სოფელი ნოსირის სახელი, რომელიც პირდაპირ ნიშნავს ადგილს, სადაც სირიები (გვარია), სირიელები ცხოვრობენ (ეს კიდევ ერთი ეტიმოლოგიაა ნოსირისა). ასევე ქალაქ "სოდომის" სახელი, რომელიც გამომდინარეობს მეგრული "ცოდამი"-დან, რაც ქართულად "ცოდვიანს" ნიშნავს. თვით ტოპონიმი "გოლგოთა", რომელიც აშკარა კოლხური წარმომავლობისაა: გოლა-გოთე, მეგრულად ნიშნავს ნათელი, მზიანი, უტყეოგორას, მთას და მართლაც გოლგოთა სწორედ ასეთია და კიდევ მრავალი სხვა.

შემდეგ ავტორი (ბ.სართანია) აგრძელებს: "პალესტინაში იესო ქრისტე მაშინ გამოჩნდა, როდესაც სირია, პალესტინა და იერუსალიმი კოლხური ტომებით იყო დასახლებული და სწორედ ამ კოლხურ წიაღში მოევლინა ქვეყნიერებას მაცხოვარი (დასკვნას, რომ მაცხოვარი პალესტინაში მოევლინა ქვეყნიერებას, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს ჩვენ არ ვიზიარებთ-ნ.კ.). აქ მაცხოვრის ეროვნებაზე არ არის ლაპარაკი, ღმერთს არა აქვს ეროვნება, ვინაიდან ის ყველა ეროვნებისაა, საუბარია სად და რომელ წიაღში მოევლინა იგი ჩვენს ცოდვილ, მიწიერ სამყაროს".

და ბოლოს ავტორი ასე ამთავრებს თავის ნაშრომს: "მეგრელ ხალხს, ახლო აღმოსავლეთში ქალდებად წოდების დროს და კოლხეთში მეგრელებად წოდებულს, მუდამ საკუთარი სამეფო, საკუთარი კულტურის ენოვანება და საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ.

იმის შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა სამი წლის სისხლიანი ბრძოლით დაარბია კოლხეთი, აღმოსავლეთ საქართველოს ხალხებმა კოლხეთი და მისი კულტურა თავიანთ დანამატად აქციეს.

იოლად როდი ჩაქრება ქართველი ერის წინაპრების, ლაზების, მეგრელებისა და ჭანების მიერ ჭოროხის ხეობაში ანთებული ფუძის სანთელი – დასავლურ სპერის სახელით.

მეგრელთა შორეული ისტორია, კოლხეთის მიწას აბარია. ვინ გაუღებს კოლხეთის მიწას გულის სეიფს? ვინ აადგმევინებს ენას კოლხეთის მიწებსა და ძეგლებს? ვინ ამოთხრის ანაკლიაში კოლხეთის უძველეს ქალაქ ჰერაკლეს? ვინ დაიჭერს ფაზისიდან ლიხის მთებამდე და ტრაპიზონიდან ტუაფსემდე გაჭენებულ კოლხეთის მერანს? ვინ დალევს მდ. ევფრატის წყალს მეგრული ტობალების სადღეგრძელოდ? ყველაფერი ეს ჩვენმა მეცნიერებმა უნდა გააკეთონ. ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს – შესდგეს ქართველი ერის ახალი ისტორია, მეგრელი ხალხის შორეული ისტორიიდან მოყოლებით."

აქ ყველაფერი დღესავით ნათელია და მას ჩვენ თითქმის მთლიანად ვიზიარებთ, გარდა რამოდენიმე აზრისა, რომელთაგანაც ზოგი დავაფიქსირეთ კიდეც.

ზემოთ ჩვენ ბიბლიის ტექსტებზე ვსაუბრობდით. აქ გვინდა კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი. კოლხეთში (იბერიაში) არსებობდა (შეიძლება ახლაც არსებობდეს) წმინდა წიგნი "ეფუთი". ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ეფუთსა და ბიბლიას შორის უახლოესი "გენეტიკური"კავშირი არსებობდა. პირველი დროთა განმავლობაში მიიკარგა, ხოლო მეორემ თავისი წმინდა სახე დაკარგა, როგორც ქრისტიანები იტყვიან: "სხვის უბედურებაზე შენი ბედნიერება არ უნდა ააგო"-ო, მითუმეტეს თუ ის სხვა მორალურად შენზე გაცილებით მაღლა დგას.

ასეთი ლირიული გადახვევის შემდეგ მივუბრუნდეთ ისევ ნოსირს. მისი ალომორფი არის "ნოსკირი" საიდანაც ასობგერა "კ"-ს ამოვარდნით მივიღეთ "ნოსირი". ნოსკირი-მეგრულად ნიშნავს "დამშრალს". მთელი კოლხეთის დაბლობი დამშრალი ადგილია მთის მდინარეების მიერ ჩამოტანილი შლამის შედეგად. მართლაც, ნოსირის შემდგომ იწყება მთაგორიანი ადგილები, რომელიც ბოლოს მთავრდება კავკასიონით. როგორც ცნობილია თვით კავკასიონის ადგილას ზღვა იყო და შემდეგ გაჩნდა მთები. ასე, რომ თვით კავკასიონიც ნოსირია (ბიბლიური ნიცირი-ესეც კიდევ ერთი ალომორფი ნოსირისა), რასაც მიადგა ნოეს კიდობანი.

ამის შესახებ წერს ვალერიან შენგელია თავის წიგნში "რინა ჭყაფილმარგალიში, ანუ პირველი შემოქმედნი", რუსულიდან თარგმნა მანანა მატახერიამ. ამ წიგნის 32-ე გვერდზე ვკითხულობთ: "მთავარია ხაზი გავუსვათ იმას, რომ გემი მიცურდა ნიცირის მთასთან განსხვავებით ბიბლიური არარატისგან. ნიცირი ძალიან გვაგონებს დასახლებული პუნქტის ნოსირის სახელს და ნოსირის მთებს დასავლეთ საქართველოში".

თავიდან, როცა ეს ადგილი წავიკითხე ცოტათი მეუცნაურა ტერმინი "ნოსირის მთები", მაგრამ შემდგომ, დავაკავშირე რა ის "ნოსკირთან", სრულიად რეალურად მომეჩვენა "ნოსკირის მთები", რომელიც გადავიდა ბიბლიურ "ნიცირში".

მთელი კოლხეთის დაბლობი კავკასიის მთებიდან დაშვებული მდინარეთა ნოსკირიონია, რომელთაგანაც მთვარს ეწოდა რიონი. ნოსკირი-ონ-ში ონ-ი ტოპოსუფიქსი გამოხატავას კრებულს; ფუნქციით ქართული ნარი-ის შესატყვისია. აღნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ქვა-ქვიშაა: ქუალონ-ი ქვიანი ადგილი; ქვიშ-ონ-ი ქვიშიანი და ა.შ. (ო.ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, გვ.436). ასე, რომ ნოსკირიონი ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი დამშრალი მიწაა. ამას კი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობი.

საბოლოოდ ტოპონიმი "ნოსირი" შეიძლება გავიგოთ, როგორც მთელი დაბლობის აღმნიშვნელად და კიდევ მეტი, კავკასიის მთების აღმნიშვნელად.

აქვე ვიტყვით, რომ რაც შეეხება ტოპონიმ "კავკასიას" მისი ძველი სახელწოდება იყო "კოლხეთი". წიგნში "Легенды Крыма" (Издательство"Крым";Симферополь, 1968г) 262 გვერდზე ვკითხულობთ:"Колхида-древнееназвание Кавказа". ხოლო თვით "კოლხეთის" ერთ-ერთი ეტიმოლოგიაა: "გოლა-ხე-თექ" მთა არის იქ.

ყველაფერი ეს, რაც შეეხებოდ "ნოსკირს", როგორც დამშრალის ეტიმოლოგიას. მაგრამ სიტყვა "ნოსკირს" გააჩნია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ახსნა. ნოსკირი (ნო-სკირი) ნიშნავს ადგილს სადაც იყო სკირი, ადგილს სადაც დაიბადა და ცხოვრობდა სკირი (შდრ. ნოქალაქი-ნიშნავს ნაქალაქარს). სკი, სკირი (სქირი) მეგრულად ნიშნავს ძეს, შვილს, ნაგრამს, შობილს. მაგრამ საინტერესოა ვინ ძე, ვინ შვილი, ვინ შობილია აქ ნაგულისხმევი. ჩვენი აზრით ეს არის ძე ღვთისა ანუ ძე კაცისა და თანმიმდევრობით შეეცდებით ამაში მკითხველიც დავარწმუნოთ.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გასაგებია რატომ ჩამოვიდა კოლხეთში ექვსი მოციქული უფლისა ჩვენისა. რატომ განისვენებს ჩვენს ქვეყანაში კვართი უფლისა და კვართი ღვთისმშობლისა. შემთხვეითი არაა ისიც, რომ ელიას ხალენის, უფლის კვართის, ღვთისმშობლის კვართის და მრავალი სხვა უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებთან ერთად საქართველოშია დავანებული ქრისტეს აკვანი: "ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, სწორედ აქაა (საქართველოში-ნ.კ.) დამალული აბრამიის კარავი და ქრისტეს აკვანი" (იხ. ჭანტურია 2010, 34). ჭანტურია აკ. 2010 "საქართველო, მისი გეოლოგიური ისტორია", გამომცემლობა "არტანუჯი", თბილისი, 2010.

მაშინ გასაგებია თუ რატომ მოიხსენიებდნენ ღვთისმშობელს "სძალო"-თი: "... სინას მთის ერთ მინჩხურ საგალობელში საცნაურად ჟღერს: "მიზეზსა მას მიზეზთასა მიზეზ ექმენ შენ ხსნისათვის ჩუენისა სძალო, ღირსად სანატრელო მარიამ... ყრმაი რა იშვა შენგან და ძე მოგუეცა დაუსაბამო".

ბრალთაგან დანთქმული დიუფალთ-დიუფალი ხუაშაკი და ბედან დადიანი ხობის ხატზე გამოსახულ "ხორცშესხმულს" კაცის ქმნილ ღვთისმშობელს უწოდებენ "სძალს" დადედოფლად მოიხსენიებენ; ლევან II დადიანიც კი მარტვილის ღვთისმშობლის ხატს "სძალო"–თი მიმართავს..." (ამირან ცამციშვილი-ფიცხელაური, "უახლოესი ცნობები შ. რუსთაველზე",ჟურნალი "აია", 1997წ, N2, გვ.91).

მაშინ გასაგებია,თუ რატომ მიიღეს ქრისტიანობა მეგრელებმა პირველსავე საუკუნეში. "მეგრელებმა პირველ საუკუნეშივე მიიღეს ქრისტიანობა". მ.ჯანაშვილი 1906, საქართველოს ისტროია, ტომი 1, თფილისი, 1906.

მაშინ გასაგებია, თუ რატომაა, რომ თითქმის არაფერი არ სჩანს ბიბლიაში იესოს ბავშვობის შესახებ.

მაშინ გასაგებია, თუ რატომ ჰყავდა კოლხეთს (იბერიას) ამდენი წმინდანი და მოწამედაწყებული პირველივე საუკუნიდან.

აქ მოვიყვანთ ამონარიდებს ბროშურიდან "საქართველოს ეკლესიის ლაზი პირველმოწამენი", პონტოელი მოწამენი: მაქსიმე, თეოდოტე, ისიქიოსი და ასკლიპიოდოტე; ბერძნულიდან თარგმნა თორნიკე კიკალიშვილმა, გამომცემლობა "ოქროს გზა" 2006.

წინასიტყვაობაში სწერია, რომ "ნაშრომი – "პონტოელი წმინდანები" წარმოადგენს მცდელობას, აღადგინოს და მკითხველს გააცნოს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით "სვინაქსარი", ანუ "წმინდანთა ცხოვრება" – პირველიდან მეოცე საუკუნემდე. როგორც აღნიშნული ნაშრომიდან ჩანს, ბერძნებად მიჩნეული პონტოელი წმინდანები-მაქსიმე, თეოდოტე, ისიქიოსიდა ასკლეპიოდოტე ქართველები არიან. გთავაზობთ მნიშვნელოვან ეპიზოდებს მათ მიერ განვლილ წამებული ცხოვრებიდან. მე-3 გვერდზე კი ვკითხულობთ: "სამეგრელო არის პონტოს ქვეყანა, რომელიც პონტოსა და კავკასიონს შორის მდებარეობს და კოლხეთი, ანუ ლაზიკა ჰქვია...

ქრისტეშობიდან 34-ე წელს ანდრია პირველწოდებული თავის მოწაფეებთან ერთად სამეგრელოში ჩავიდა, რათა კერპთაყვანისმცემელი ლაზებისთვის ქრისტიანობა ექადაგა და შეცდომილნი ქრისტეს ნათელს ეზიარებინა.

იგი დიდი სიხარულით ქადაგებდა და ნათლავდა პონტოელ ლაზებს. სამეგრელოში ანდრია პირველწოდებულმა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დაადაფუძნა. ეპისკოპოსი და მღვდლები ხელდასხმით აკურთხა და პონტოს სხვა მხარეს გაემგზავრა. ეკლესია კი ნელ-ნელა გაძლიერდა და როგორც იტყვიან, მრავალნაყოფიერ ხესავით მიაწვდინა თავისი რტოები სამეგრელოს მაცხოვრებელთა კეთილი სულებისაკენ.

ქრისტეშობიდან 41-ე წლის, ანუ შვიდი წლის შემდეგ ანდრია მოციქული ისევ ბრუნდება სამეგრელოში, რათა სულიერად ააღორძინოს და სიხარული და მშვიდობა მოუტანოს პირველი ქრისტიანული ეკლესიის მორწმუნეებს."

ამის შემდეგ ბროშურაში აღწერილია მეგრული პირველმოწამე და-ძმების წამება და მოკვდინება, და ბოლოში ნათქვამია: "სამეგრელოს მკვიდრი მოწამენი-მაქსიმე, ისიქიოსი, თეოდოტე და ასკლიპიოდოტე ქრისტეს სახელით იყვნენ შეწირულნი, რომელთა სისხლმა კურთხეული პონტოს ქვეყანა განწმინდა, მათი წმინდა ნაწილები სასწაულებს აღასრულებენ და მათი წმინდა სულები იქნა წინდი ჩვენი უკვდავებისა."

ამ წმინდანთა გაკვლეული გზას აგრძელებდნენ და კოლხ-იბერები იყვნენ ბაკურ იბერიელი, პეტრე იბერი, იოანე ლაზი, წმინდა ნინო და წმინდა გიორგი და ასევე იბერილები იყვნენ ასურელი მამებიც. აი, რას ამბობდა ნ. მარრი პეტრე იბერის შესახებ. მოგვყავს ნაწყვეტი იჯავახიშვილის წიგნიდან "ქართველი ერის ისტორია" (წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 191): ნ. მარრი ამტკიცებდა, რომ იბერიად უნდა აღმოსავლეთ საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთ საქართველო, სახელდობრ სამეგრელო და მეგრელები. გამოდის, რომ წმინდა ნინოს აღმოსავლეთ საქართველო კი არა, არამედ მეგრელები და დასავლეთ საქართველო მოუქცევია. განთქმული საეკლესიო მოღვაწე იბერიის უფლისწული პეტრე ქართველიც, იბერად წოდებულიც ალბათ სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო და იერუსალიმში არსებული იბერთა და ლაზთა მონასტრებიც ალბათ ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყოო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთსაქართველოს ქართველებსაც უწოდესო".

საინტერესოა, რომ როგორც ზემოთმოყვანილ ბროშურიდან ირკვევა ანდრია ჩამოსულია კოლხეთში პირდაპირ ჯვარცმის შემდეგ. საინტერესოა ისიც, რომ სამეგრელოს ეწოდება პონტოს ქვეყანა. აქ გვახსენდება პილატე პონტოელი, რომლის სახელი პილა-ტე (სუფიქსი "ტე" ბერძნულია, როგორც სახელებში ჰეროდოტე, ქსენოფონტე და ა.შ.) პილა დღესაც გავრცელებული სახელია სამეგრელოში, ხოლო თუ მაკრიონ პონტოელი (II ს), ევაგრე პონტოელი (პალესტინელი) (IVს) და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწეები სამეგრელოდან იყვნენ (იხ. მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამომცემლობა კანდელი, თბილისი, 1995, გვ. 190-191), საფიქრებელია, რომ ისიც (პილატე) აქედან უნდა ყოფილიყო.

მოვიყვანოთ ამონარიდები ჩვენი სტატიიდან "უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა" (ჟურნალი "ცოტნეიდელი", ტომი V, თბილისი-ფაზისი, 2011-2012წ., გვ.150-160).

ნუგზარ კვაშილავა
"ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲓ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ

1995 წლის 4 მარტს, თბილისში საზარელი დანაშაული მოხდა. ორი ახალგაზრდა: კუსა თოხმაიდი და ბექა რეხვიაშვილი გაუჩინარდა. გამოძიება ეჭვობს, რომ ისინი დახოცეს. გარდაცვლილების მშობლებს კი, შვილების ცხედრების ნაცვლად, სხვისი გვამები შეაჩერეს ხელთ. გაუჩინარებული ახალგაზრდების მშობლები, სხვებთან ერთად, ამ საზარელ დანაშაულში ირაკლი ალასანიას ადანაშაულებენ. მათი თქმით, ალასანია, რომელსაც ნარკობიზნესთან ჰქონდა კავშირი, თავისივე მეგობრების გაუჩინარების საქმის თანამონაწილეა.

17 წლის წინ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ახალგაზრდების დედები, ქალბატონები: თამარ გარსევანიშვილი და მანანა რეხვიაშვილი ირაკლი ალასანიას – მეზობლების: ბექა რეხვიაშვილისა და ალექსანდრე (კუსა) თოხმაიდის გაუჩინარების გახმაურებული საქმის თანამონაწილეობაში ადანაშაულებენ.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ჩვენს ეზოში, ყოველთვის ეს ოთხეული ერთად მოიაზრებოდა, მეგობრები იყვნენ: ირაკლი ალასანია, თემურ ავიძბა, ზაზა ბარკალაია და გიგი არაბიძე. ალასანია იმ დროს იყო აკადემიის კურსანტი იყო და თან უშიშროებაში მუშაობდა.

ბარკალაია შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ნარკოტიკების განყოფილებაში, თავის ბიძასთან, შველიძესთან ერთად. 1995 წლის 4 მარტს, კუსა თოხმაიდი კუტუზოვის ქუჩაზე კორპუსის ეზოში ჩავიდა.

ჩემს ბექას კი სახლიდან გასვლა სთხოვა მისივე თანაკლასელის დედამ, აწ გარდაცვლილმა ნინო ბერუჩაშვილმა, რომელმაც ის თავისთან დაიბარა ოჯახში. იქიდან დაბრუნებულმა ჩემმა შვილმა მითხრა, რომ ამ ქალბატონს ნამცხვრის გაკეთება სურდა და იქნებ გაუკეთოო. ბავშვი უკან წავიდა მასთან, წავალ და ვეტყვი, რომ გამოუცხობო. ამის შემდგომ ჩემი შვილი არც ცოცხალი მინახავს, არც მკვდარი.

მაშინ ეს ქალბატონი უშიშროებისა და შესაბამისი უწყებების დაქირავებულ **„ნასედკად“** იყო ცნობილი. კუსა და ბექა ერთად იყვნენ და მას შემდეგ არც მე, არც ქალბატონ მარინას ისინი ცოცხლები აღარ გვინახავს. ის მიცვალებულებიც რაც შემოგვაჩერეს, სისხლის ჯგუფიც კი არ დაემთხვა მათსას და რეალურად ეს გვამები ჩვენი შვილების არ იყო. ამიტომაც ჩავატარეთ ჩვენ განმეორებითი ექსგუმაცია.

– ქალბატონო მანანა, თქვენს შვილებს ირაკლი ალასანიასთან რაიმე სახის პირადი დაპირისპირება ჰქონდათ?

– ალასანიასთან დაპირისპირება არ ჰქონიათ, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემთვის ცნობილი არ იყო, თუმცა მერე და მერე, როცა დავდიოდი, ირკვეოდა, რომ ალასანიას ამ საქმის ირგვლივ ინტერესები ჰქონდა. მე მაგალითად ვიცი და ასეც ვფიქრობ, რომ ეს ოთხეული შავ მუშად ჰყავდა უშიშროებას, რომ ჩვენთვის გზა აებნიათ და ჩვენს ოჯახებში შემოსულიყვნენ.

ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლე უშიშროების ყოფილი თანამშრომელი იყო და როდესაც ჩვენი შვილების საქმის გამოსარკვევად მივიდა საბურთალოს უშიშროებაში, მაშინდელ უფროსთან გია გლოველთან, რამდენჯერმე იქნა დაფიქსირებული, რომ იქ უკვე მისული იყო ირაკლი ალასანია და დასწრებაზე იყო. ე.ი. ალასანიას რაღაც აინტერესებდა, რაღაცის შიში ჰქონდა...

– თქვენი აზრით, რისი?

– ეგ და მისი მეგობრები მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი შვილების საქმეში, როგორც შავი მუშები. მაშინ ჩვენი შვილების საქმეში გაცილებით გავლენიანი, ორი მაშინდელი მაღალჩინოსანი იყო ჩარეული, ნამინისტრალები შოთა კვირაია და იგორ გიორგაძე.

– იცით ალბათ, რომ იგორ გიორგაძის პროტეჟე იყო ირაკლი ალასანია...

– ვერაფერს გეტყვით ამის თაობაზე. კარის მეზობლები იყვნენ და ეგ შეიძლება მასეც იყო. ორი პატიოსანი ბავშვი ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაუჩინარდა, ისე რომ, ჩვენ მათი საფლავებიც კი არ გვაქვს. ეს ალასანია და მისი ძმაკაცები ძალიან ცუდად იყვნენ ჩარეულები, იმიტომ კი არა, რომ უშუალოდ მოქმედი პირები იყვნენ. ჩვენ გვიბნევდნენ გზას და გვეუბნებოდნენ, **„კულინარელებმა“** გააკეთეს ეს საქმეო. ჩვენ კი ვიცით, რომ მაშინდელ დაჯგუფება „კულინარიელებს“ ეს საქმე არ გაუკეთებიათ.

– ალასანია თვითონ „კულინარიელი“ არ იყო?

– თვითონ არ ვიცი, რამდენად იყო **„კულინარიელი“**, მაგრამ მისი უახლოესი მეგობარი და მეჯვარე იყო მთავარი „კულინარიელი“ – ირაკლი ჩლაიძე. ბოლოს რომ ჰკითხეს ალასანიას, უსინდისოდ უარყო, შეხების წერტილი არ მქონდაო. უბანში ყველამ ვიცით, რომ ჰქონდა და მეგობრობდა კიდეც.

მეტიც, როდესაც მე ირაკლი ჩლაიძესთან ოჯახში ავედი, სწორედ იქ იმყოფებოდა ალასანიაც და მისი დეიდაშვილი გოგა ბესტავაშვილი, რომელიც ახლა თავის პარტიაში ჰყავს. სწორედ ამ ბესტავაშვილმა გვითხრა, რომ ჩლაიძის მოკლულია თქვენი შვილებიო. ესაც შემოგდებული იყო. ვერ გეტყვით, რატომ იყო მონდომებული ირაკლი ალასანია, რომ **„კულინარელებს“** გადაბრალებოდათ ჩვენი შვილების გაუჩინარება თუ მკვლელობა.

ფაქტია, უკვე ამდენი წლებია ჩვენი შვილები არც ცოცხალი გვინახავს, არც – მკვდარი. ამ საქმეზე ირაკლი ალასანია სამჯერაა დაკითხული. ყველას იბარებდნენ ამ ბიჭებს. პროკურატურა თავად ინტერესდებოდა ამ საქმით, თუმცა ბოლომდე მის მიყვანას ხელს უშლიდა ვიღაც. ვერ მიდიოდა ბოლომდე ეს საქმე.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲠᲡᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „როდესაც მე შევედი პროკურორ კობალაძის კაბინეტში, იქ ისხდნენ ირაკლი ალასანია და ზაზა ბარკალაია. კობალაძე მომიბრუნდა და მეკითხება, ქალბატონო თამარ, ხომ არაფერი კითხვა გაქვთ ამათთანო, არა მეთქი. მაშინ კიდევ ბევრ რამეს ვერ ეხდებოდი“.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „შესავალი ხომ აქვს ამას, რატომ დაიბარეს მაინცდამაინც ირაკლი? მთელი 40 დღის განმავლობაში ბობოქორობდა ალასანიას ოთხეული, მაგ ბიჭებიდან წამოვიდა ისიც, რომ იმ ღამით, თითქოსდა არკაში, როგორ შევიდნენ ბექა და კუსა, ეს დაინახა ირაკლის მეგობარმაო. არაადა ჩვენ მტკიცებულება გვქონდა, რომ იქ არ იყვნენ ბექა და კუსა იმ ღამეს.

ალასანიამ მაშინაც მოიტყუა, როცა არასწორი ინფორმაცია მოგვცა. რომ გაიგო, რომ ინფორმაციის გადასამოწმებლად მივდიოდით, იქ მცხოვრებ ერთ ახლობელთან, როგორც იცის ხოლმე მოვიდა და თითქოს ძალიან შეწუხებულმა გვითხრა, გაუგებრობას ჰქონია ადგილიო. გავიდა რამდენიმე თვე და ისევ მოდის და ჩემს მეუღლეს ეუბნება, რომ წითელი მანქანა იდგა იმ **„არკასთან“** და მიანიშნებს, რომ ეს მანქანა ერთ-ერთ **„კულინარელი“** პიროვნებისაა.

მეორე დღეს, როდესაც ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტა, ამის გადამოწმება, ალასანია ისევ მოდის და გვეუბნება, რომ გაუგებრობას ჰქონია ადგილი. ზაზა ბარკალაია და ირაკლი ალასანია ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ჩვენთვის გზა და კვალი აერიათ და ნამდვილ დამნაშავეებზე არ გავსულიყავით და ამის უამრავი ფაქტი და მტკიცებულება გვაქვს. რატომ სხვას არ ვადებ ხელს?

იმ ღამეს, როცა ჩემი შვილი გაუჩინარდა, ალასანიას ბებია იყო და იქვე ხმამაღლა ვუთხარი, მე მკვლელს ვეძახი თქვენს შვილიშვილს, არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა მთავარი როლის შემსრულებელი იყო თუ ეპიზოდური. დამნაშავე დამნაშავეა თქო. შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ მივედით გამომძიებელ ფოჩხუასთან, ეს იყო 1996 წელი, იცით რა გვითხრა ამ 3 ბიჭს ეძახიან, **„გუდაუთსკაია ტროიკასო“:** ალასანია, ავიძბა და ბარკალაია. ეს სხვათაშორის **„კულინარელებმაც“** თქვეს, თავი დაგვანებონ ჩვენ და ლაგოდეხში, თათრების სოფელ კაბალში რომ ბარიგობდნენ, იმას მიხედონო. ჩვენს გვსმენია, რომ ირაკლი ალასანიას ნარკოტიკების ვაჭრობასთან კავშირი ჰქონდა.

ფოჩხუამ სწორედ ეს თქვა, რომ ეს ბიჭები შემჩნეულები გვყავდა, რომ მიდიოდნენ, ხან ქალაქგარეთ გადამყიდველები მიჰყავდთ, ხან ფულს ართმევდნენ და ეს რამოდენიმეჯერ აუკრძალეს. ასეთებად ახასიათებდნენ ალასანიას და მის მეგობრებს.

ქალაქის პოლიციაში ჩვენი საქმე გამომძიებელ გია ნატროშვილსა და სერგო ანთაძეს ებარა. პირველ მისვლაზე სერგო ანთაძე კმაყოფილი და გახარებული იყო, ვიღაცას ეუბნებოდა ტელეფონზე, თურმე ელაპარაკება ქალაქის უშიშროების უფროსს, მაშინდელს, ცინცაძეს. ცინცაძეს აქედან ეს ეუბნება, მეც ზუსტად ამ ბიჭებზე ვარ, ის ოთხეული დაასახელა. დღეს არავინ აღარაფერს ამბობს, ყველამ აიკერა პირი, 17 წლის ავიძბას ყალბი ლეიტენანტის საბუთი ჰქონდა. იგივე ბიჭების გვარები დაგვისახელა მაშინ საბურთალოს **„ოურის“** უფროსმა მურადი ჭაფოძემ, მოწიწებით გვითხრა იგივე ალასანიას და ამ ბიჭების გვარებიც... ერთი სიტყვით, გამოძიება მიდიოდა რაღაც კონდიციამდე და ჩერდებოდნენ. მაგდენი მეც კი ვიცი, რომ ესენი რაღაც როლს ასრულებდნენ.

– თქვენ რამდენჯერმე საჯაროდ გააკეთეთ განცხადება ამის თაობაზე და ალასანია არ შეგხმიანებიათ?

– არა ნამდვილად. ერთადერთი ჩვენ ირაკლი ალასანიას პირისპირ შევხდით ჩლაიძეების სახლში, 1996-ში და მაშინაც ელდა ეცა. თუმცა ამასწინათაც იყო მოსული აქ, ეზოში დაცვით და გამარჯობა მითხრა და ზედ არ შევხედე, ზურგი შევაქციე.

რატომ არ დაინტერესდა, რატომ არ მოვა და გვკითხავს, აბა ქალბატონო მანანა, ქალბატონო თამარ, 17 წელია გამარჯობას არ მეუბნებით და რაღაც გაუგებრობაა იქნებ, გავერკვეთ, რატომ ახსენებთ ჩემს სახელს ამ გაუჩინარების საქმეში ან ამდენი ხანი მთავრობაში იყო და რატომ არ დაინტერესდა მისივე ამხანაგების – ბექას და კუსას საქმის გამოძიებით? ამიტომაც ჩნდება ბუნებრივად ეჭვები.

ალასანიამ 1996 წლის დეკემბერში გვითხრა, ამერიკაში მიბრძანდებოდა მაშინ, თამრიკო დეიდა, მე რომ დიდი კაცი გავხდები, პირველ რიგში ბექა და კუსას საქმე იქნება გამოძიებულიო.

კუსას აჩრდილი მაგათ ცხოვრების ბოლომდე არ მოასვენებთ. მე ვიცი, ალასანიამ რა როლიც ითამაშა და როდესაც ჩვენ უშიშროების საბჭოს მდივანს, ნუგზარ საჯაიას ვხვდებოდით, მაგისმა მეგობარმა, მაშინ საჯაიას რეფერანტი იყო, აწოწილი ზურაბ აბაშიძე, ახლა რომ დიდ უფლებათადამცველად გვევლინება, ცოცხალი თავით არ შეგვიშვა ნუგზარ საჯაიასთან კაბინეტში.

ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას, რომ ეს საქმე არაა დახურული და იქნებ პროკურატურა და შესაბამისი უწყებები რეალურად დაინტერესდნენ ჩვენი უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული შვილების საქმის გამოძიებით და ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს დამნაშავეების ვინაობა“.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ Კ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

უხუცეს ლოტბარს პოლიკარპე ხუბულავას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის შენობის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პირველი ვარსკვლავის გახსნამდე პოლიკარპე ხუბულავამ ღონისძიებისადმი მიძღვნილ საღამოზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა. მას სცენაზევე კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო **„ხელოვნების ქურუმი“** გადასცა. პოლიკარპე ხუბულავას ვარსკვლავის გახსნას მინისტრთან ერთად ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, ანსამბლ **„რუსთავის“** სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პოლიკარპე ხუბულავა 90 წლისაა, მას ხელოვნების სფეროში **„მეგრული სიმღერების პატრიარქად“** მოიხსენიებენ, ლოტბარმა აღადგინა და მოიძია ასობით ხალხური სიმღერა, პოლიკარპე ხუბულავა 200-ზე მეტ მეგრულ ხალხურ სიმღერას ასრულებს.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

სათრეველები

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲗᲐᲜ

ვინც უყურებს „რუსთავ-ორს“,
ხვდება იმდენ იაგოს,
რომ ვერასდროს მოვა გონს,
პატივი ვის მიაგოს!

ᲜᲐᲢᲕᲠᲐ

თურაშაულის პატრონი
წამეტრაბახა ვერათი.
ვუსმენდი, მაგრამ ვნატრობდი:
– ღმერთო, ანახე გელათი!
მოხიბლულს „ახალ ათონით“,
ვერ გააკვირვებ ვერათი!

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲙᲘᲔᲕᲖᲔ

– სხვა ვერ ნახეს, შე ჩემალა? –
კითხვად ეს მაქვს,
პასუხად კი ეს:
ნაპაღურალ-ნარჩევალა
„ცოცხოსანზე“ რომ შეჩერდნენ,
და დევგმირად ეჩვენებათ,
ნუ ჰგონიათ ჩე გევარა,–
თორემ ძვირი დაუჯდება კიევს!

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲥᲘ, ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲥᲘ,ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲥᲘ!

კულტურის მტერ კულტურის მინისტრს

ნუთუ ვერც გრძნობ და ვერც ხედავ,
ჩვენს ქვეყანას რა ემცხეთა,
რატომ გელის დამხობა?
სიძულვილი ქვას გახეთქავს;
მომკვდარიყავ და არ გეთქვა
ამაზრზენი თანხმობა!
ქვეყანას რომ უნგრევ ტაძრებს,
იუდა ვერცხლს რამდენს გაძლევს,
როცა სინდისს გაისვრი?
მოგკვეთენ და
ვერსად გაძლებ;
გადადექი, გიორგაძე,–
რადგან სულზე ცოდვად გაწევს
აფეთქება ტაძრისის!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲖᲝᲗᲝᲜᲯᲘᲨ ᲝᲯᲛᲐᲠᲔ

ტორჩას მობუ ნირსიშ თუმა,
ორთაქ ხოლო შურ ვაქალ,
ოფუტეშე ეშმურც კუმა,
ჰავა ნარას იქაქალ.

ბეჟაშ ჩხორიაქ თოლეფ განჯ,
ალბეთ, დიხა მიხუჯინუ,
ბეჯგის ირფელ ეკუპანჯ,
შორც წაჩხვია მიხურჩინუ.

*** * ***

ჰავას მუღუ თე ნაბირა,
გეშამიღ რინაქ შური,
ბრელ ჩიჩიე მაფ ნაძირა,
ბრელ ჯგირი დო გოსოფური.

ჩქიმ თოლონწო წანეფქ მიკორთ,
კოჩიშ ზისხირც ჭარა შუნდ,
ჩქიმ ცოდილერს ბორჯი ინკორდ,
ართ აკანც ვაჩერდუდ.

ორთაშ დოლოს კინიმნჯირი,
რულენჯობათ მუთაქ იშუ,
უკახალე მიკიბჯინი,
უჩურცხალი სერი მიშუ.

თე სვანჯიშა ირფელ ღირ,
ვარ-დო, ჯვეშეფც მინოძ დიხა,
ფარანქ ბრელი გეკანქირ,
ეკართინ ბრელი ჯიხა.

ცაშე ნარღი მოურც თირო,
ურაგადუ კათას გლახა,
მა მუ ვღოლა, გოლვაფირო?
ბოლო ბირას ქიმვოძახა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐ,
2014 წანა, ღურთუთა.

დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

ლეონტი მროველის ცნობით, ვარაზ-ბაქარს ორი ცოლი ჰყოლია – თრდატის (საურმაგის) ასული და «ძისწული ფეროზისი». როგორც ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში გვაქვს თანხვედრა. მაგრამ ეს გარემოება, ჩვენი აზრით, უფრო ლეონტი მროველის ცნობების უზუსტობაზე უნდა მეტყველებდეს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაზ-ბაკურსა და დიდ ბაკურს ერთმანეთთან აიგივებს. ზემოხსენებული ცნობით ეს ისედაც ფრიად საეჭვო ვარაუდი სრულიად ქარწყლდება. დიდ ბაკურს ჰყავდა ერთადერთი მეუღლე, რომელსაც «დუხტი» ერქვა სახელად. ზემოხსენებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ვარაზ-ბაკურს მეუღლედ ჰყავდა «გუასპურაგნელ მთავართა შვილი», რაც ისტორიული სინამდვილის ანარეკლი ჩანს. ვასპურაკანის დიდი ნაწილი განსახილველ პერიოდში ოთხი წარჩინებული საგვარეულო სახლის – ალბაქის არწრუნების, მარდპეტაკანის არწრუნების, რუშტუნებისა და ამატუნების ხელში იყო. «მარდპეტი» არწრუნების სახლის ზოგად საგვარეულო ტიტულს წარმოადგენდა (4:319). მაგრამ დავუბრუნდეთ თავდაპირველ სათქმელს. ასფაგური რომ ხიდარიდან მცხეთას აღარ დაბრუნებულა, ეს ირიბად ჩანს «მოქცევაი ქართლისაის» იმ ცნობიდანაც, რომ ქართლის დახარკვის შემდეგ მცხეთაში ეკლესიის შენება მიმდინარეობდა ადგილობრივ აზნაურთა მეთავეობით. ქართლის წარჩინებულთა იმ დროს გააქტიურებაზე მეტყველებს ლეონტი მროველის ის ცნობაც, რომლის თანახმად მათ «ზრახვა ყვეს და დასვეს მეფედ ... ძე რევისი, ძის წული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თრდატ», რომელიც იგივე მემატიანის სიტყვებით: «იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი, ამან სიბრძნითა თვისითა დაამშვიდნა სპარსნი, ... ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა» (57:137). თრდატ რევის ძე, (იგივე საურმაგ მერიბანის ძე) «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკაში ვარაზ-ბაკურის წინამორბედ მეფედ არის დასახელებული, ხოლო «ქართლის ცხოვრებაში» ის ვარაზ-ბაქარის მომდევნო მეფეა. ჩვენი აზრით, აქ ასახული უნდა იყოს რეალურად არსებული ვითარება: საურმაგი «ყოველ ქართლზე» პირველად მეფობდა 368 წელს, რა დროსაც ის ასფაგურმა და მისმა მომხრე სპარსელებმა გააძევეს ქვეყნიდან; ხელმეორედ საურმაგმა «ყოველი ქართლის» მეფობას 388 წლის მახლობელ ხანებში მიაღწია, რა დროსაც სპარსელთა შიშით ასფაგურმა მცხეთა დასტოვა და ხიდარს გაიხიზნა. ზემოხსენებული ქართული წყაროების ჩვენებათა წინააღმდეგობებიც ამ ნიადაგზე უნდა აიხსნას.

უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ რომაელთა ოდინდელი ფავორიტი – საურმაგი (თრდატ რევის ძე) მოხუცებულობის ჟამს სპარსელებთან მორიგებულა, ხოლო ასფაგური (ვარაზ-ბაკური) პირიქით იძულებული გამხდარა სპარსელთა შიშით მცხეთას გასცლოდა. ცხადია, საინტერესო იქნებოდა იმის გამორკვევა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნულ პირთა მხრიდან ადრინდელი პოლიტიკური ორიენტაციების ესოდენ მკვეთრი ცვლილების ფაქტი. სამწუხაროდ, ჩვენს წყაროებში პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე არ მოიპოვება. მაგრამ ნავარაუდევი ფაქტის რეალურობის დასტური შეიძლება იყოს შემდეგი გარემოება: ლეონტი მროველის ცნობით, ვარაზ-ბაქარის (ასფაგურის) უფროსი ვაჟი იყო ფარსმანი, შემდგომში ქართლის მეფე, რომელიც მემატიანის სიტყვით, ასფაგურს თითქოსდა «უშვა ფეროზის ძისწულმან» (57:135). ჩვენ უკვე გამორკვეული გვაქვს ის, რომ ხსენებული ფარსმანი რეალურად მეფე საურმაგის (თრდატის) დისწული იყო (ამ ფაქტის დამახინჯებული ანარეკლი ჩანს ლეონტის ის ცნობა, რომ ვარაზ-ბაქარს ცოლად თრდატ რევის ძის ასული ჰყავდა – ბ.ხ.), როგორც ამას «მოქცევაი ქართლისაი» გვამცნობს და ამდენად, ის დიდ ბაკურს მამიდაშვილად ეკუთვნოდა (რომ ვარაზ-ბაქარის ოჯახობის შესახებ ლეონტი მროველთან დაცული ცნობები უზუსტოა, ეს მართებულად შენიშნა ვ.გოილაძემაც. იხ.21:87-89). ფარსმანის შესახებ საგულისხმო ცნობებს ვნახულობთ პეტრე იბერის ბიოგრაფ იოანე რუფუსის თხზულებაში.

კერძოდ, როგორც აღნიშნული ავტორი გვამცნობს, მეფისწული ფარსმანი «რომაელთა მეფეს არკადიუსს დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა, ხოლო, უკანასკნელ, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და დაიმალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა; როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მიიყვანა თეთრი ჰუნნები, იბერთა მეზობლები, იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა» (37:248-249; 96:81).

როგორც ზემოთ აღინიშნა, 388 წლის შემდეგ ასფაგური მცხეთაში აღარ დაბრუნებულა და ხიდარში გარდაიცვალა. ქვეყნის წარჩინებულებმა ტახტის ძველი მპყრობელი და შემდგომში ქართლიდან გაძევებული საურმაგი უკან იხმეს, სპარსელებთან მოარიგეს და კვლავ მეფედ დასვეს. საურმაგმა კი, ტახტზე ხელმეორედ აღზევების სანაცვლოდ სპარსელებს ხარკის ძლევის პირობა მისცა. შესაძლოა, საურმაგმა ისევ მხოლოდ მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აღადგინა თავისი ხელისუფლება და არა «ყოველ ქართლში», მაგრამ ამ შემთხვევაშიც ასფაგურსა და მის სახლეულობას მცხეთაში სპარსელები აღარ გააჩერებდნენ; წყაროთა ცნობებით ჩანს კიდეც, რომ ასფაგურის სახლეულობა არაგვის ხეობაში გადაბარგდა და მცხეთა დროებით აზნაურთა ხელისუფლების ამარა დარჩა. ასეთ ვითარებაში ასფაგურის უფროს ვაჟსა და სამეფო ტახტის რეალურ პრეტენდენტს – ფარსმანს ისღა დარჩენოდა სამშობლო დაეტოვებინა და ბიზანტიაში წასულიყო დახმარების საძიებლად. საინტერესოა, რომ ერთი ბიზანტიური საბუთის (წმ. ნილოსის წერილი «ფარესმანისადმი») საფუძველზე ვ.გოილაძემ მეფისწულ ფარსმანის კონსტანტინეპოლში ჩასვლა 382-390 წწ.-ს შორის პერიოდში ივარაუდა (იხ. 21:93-94). წმ. ნილოსის წერილიდან ირკვევა, რომ დეცემვირად მყოფი «ფარესმანი», რომელსაც, ჩვენი აზრით, ვ.გოილაძე სავსებით სამართლიანად აიგივებს ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძესთან, დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ტახტის ბიზანტიელთა დახმარებით დაბრუნების იმედის გაცრუებითა და მისი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში გადახვეწის ფაქტით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ასფაგურის ძის გეგმების ჩაშლაში, უნდა ვიფიქროთ, არაუკანასკნელი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ფარსმანის კონსტანტინეპოლში, საიმპერატორო კარზე მისვლამდე (ე.ი. 388 წლამდე) იქ უკვე იმყოფებოდა და უდიდესი ავტორიტეტითაც სარგებლობდა მისი ბიძაშვილი და ქართლის სამეფო ტახტის რეალური პრეტენდენტი – დიდი ბაკური. ბიზანტიაში მისულ ფარსმანს მაღალი სამხედრო თანამდებობა უბოძეს და ეტყობა, მას საიმპერატორო კარზე მეტს არც ჰპირდებოდნენ. 395 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი I დიდი. იმავე წლის 27 აპრილს კონსტანტინეპოლში მოსულმა თეოდოსის უფროსმა ვაჟმა – არკადიუსმა ჯვარი დაიწერა ევდოქსიაზე. ამ უკანასკნელმა სასიყვარულო რომანი გააბა ფარსმანთან; ეს ამბავი მალევე გამჟღავნდა და იბერიელ მეფისწულს ამის გამო კონსტანტინეპოლის სასწრაფოდ დატოვება მოუხდა. იმ დროს (395 წ-ის ივლისიდან მოყოლებული) წინა აზიაში კავკასიონის ქედის გადმოვლით ჰუნების მარბიელი რაზმები იყვნენ შემოჭრილი და ბიზანტიის იმპერიის კუთვნილი სომხეთისა და სირიის ტერიტორიებს აოხრებდნენ (113:74). სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ჰუნები ბიზანტიის ქვეშევრდომებს ფარსმანმა შეუსია, როდესაც ის ქართლში დაბრუნდა (13:60). მაგრამ იოანე რუფუსის თხზულებაში მოყვანილი ცნობით ჩანს, რომ კონსტანტინეპოლიდან გაქცეულმა ფარსმანმა სამშობლოში «თან მიიყვანა» იბერთა მეზობელი თეთრი ჰუნები, რომელთა შემწეობით ხელთ იგდო სამეფო ტახტი. შემდეგ კი, მრავალი უბედურება დაატეხა რომაელთა ქვეშევრდომებს, ანუ როგორც ეს ჩვენ გვგონია, რევიანებს. ჩვენი აზრით, იბერთა მეზობელ ჰუნებში იგულისხმებიან იმ დროს სომხეთში მოთარეშე ჰუნთა რაზმები. კონსტანტინეპოლიდან გაქცეულ ფარსმანს, როგორც ჩანს, თავდაპირველად თავი სომხეთში შეუფარებია, იქ დამალულა. ამის თქმის საფუძველს სხვასთან ერთად ისიც იძლევა, რომ ფარსმანის მამის – ასფაგურის (ვარაზ-ბაკურის) ორი ცოლიდან ერთერთი ვასპურაკანის (ქართული წყაროების «გუასპურაგანი») მთავრების სახლის შვილი იყო და თვითონ ფარსმანის დედის დედა (ბებია) სალომეც ხომ, ლეონტი მროველის ცნობით, სომეხ მეფეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა?! ცხადია, მეფისწული ფარსმანი თავშესაფარს თავის სომხეთელ მოყვრებში ადვილად იპოვნიდა. მაგრამ რომ ამ უკანასკნელთათვის გარკვეული უხერხულობა არ შეექმნა თავისი სტუმრობით (ბიზანტიელებს ხომ შეეძლოთ სომეხთათვის მისი თავის გადაცემა მოეთხოვათ?!), ის იქ მაინც ფარულად იმყოფებოდა იმ დრომდე, სანამ სომხეთში მოთარეშე ჰუნების რაზმების დაქირავება არ მოახერხა და მათთან ერთად სამშობლოში არ დაბრუნდა. ფარსმანს ჰუნთა რაზმების დაქირავება შეეძლო მხოლოდ 395 წლის ივლისის შემდგომ პერიოდში, რადგან 540 წელს დაწერილი «ედესის ქრონიკა» სწორედ ამ დროით ათარიღებს ჰუნთა იმპერიის ფარგლებში შემოჭრის ფაქტს (იხ. 77:91). «მოქცევაი ქართლისაის» ცნობით, ბაკურ თრდატის ძემ ფარსმანზე უფრო ადრე დაიკავა სამეფო ტახტი. თუ ეს ცნობა მცდარი არ არის, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საურმაგი 395 წლის დასაწყისში გარდაიცვალა და ბაკურის სამშობლოში დაბრუნებასაც წინ აღარაფერი ედგა. ბაკურთან ერთად იბერიაში დაბრუნდნენ მისი ამალის წევრები და თანამებრძოლებიც. მალევე გამოჩნდა დაქირავებულ ჰუნთა რაზმებთან ერთად ფარსმანიც, რომელმაც მცხეთა დაიკავა. ჩვენს წყაროებში არ ჩანს, იყო თუ არა რეალური დაპირისპირება ფარსმანსა და ბაკურს შორის, მაგრამ იოანე რუფუსის ის ცნობა, რომ ფარსმანს საგრძნობი ზიანი მიუყენებია «რომაელთა ქვეშევრდომთათვის», გვაფიქრებინებს იმას, რომ ასეთ დაპირისპირებას რეალურად შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. ფარსმანის მცხეთაში მბრძანებლობა რომ დიდხანს არ გაგრძელებულა, ამაში გვარწმუნებს «მოქცევაი ქართლისაის» დუმილი ამ მეფის ზეობისას მომხდარი მოვლენების შესახებ. რა ბედი ეწია ფარსმანს შემდგომში (ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალა, მოჰკლეს თუ განდევნეს ქვეყნიდან ?) და რა ვითარებაში დაეუფლა დიდი ბაკური მცხეთას, ძნელი სათქმელია. თუმცა სავარაუდოა, რომ ბაკურს დახმარების ხელი ისევ სპარსელებმა გაუწიეს, რადგან თავნება და არაკონტროლირებადი ფარსმანი მათვის მიუღებელი კანდიდატურა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფო ტახტზე. 395/96 წწ.-ის მიჯნასთან ახლოს დიდი ბაკური მცხეთის მხარეს გადადის და ამიერიდან უკვე «ყოველი ქართლის» თვითმპყრობელი ხდება. «მოქცევაი ქართლისაი»-ს ლაკონიური ცნობა იმის შესახებ, რომ ბაკური «იმიერ განვიდა», ნათელი მოწმობაა იმისა, რომ ბაკური იბერიის რევიანთა კუთვნილი ნაწილიდან მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და «ყოველი ქართლის» მპყრობელი შეიქნა.

თავი IV

დიდი ბაკური ქართლის სამეფო ტახტზე იმ დროს, როდესაც დიდი ბაკური სამეფო ტახტზე აღზევდა, ბიზანტიის იმპერატორ არკადიუსსა და სპარსეთის შაჰ ბაჰრამ IV-ს შორის, როგორც ითქვა, მშვიდობიანი ურთიერთობები სუფევდა. ამასთანავე, ისტორიული სომხეთის დიდ ნაწილი და ქართლის სამეფო კვლავინდებურად სპარსეთის გავლენის სფეროდ რჩებოდა. თუმცა არკადიუსიცა და ბაჰრამ IV-ც საკმაოდ სუსტი მმართველები იყვნენ თავიანთი ქვეყნებისა.

ეს კი, საკმაოდ ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა იმისათვის, რომ მუდმივად დაპირისპირებულ მხარეთა შორის შედარებითი მშვიდობიანობის არსებობის ფონზე ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში – ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლებულიყო.

მართალია, ეს ქვეყნები უკვე IV ს-ის დასაწყისიდან ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობას აღიარებდნენ, მაგრამ მაზდეანური სპარსეთის გავლენის სფეროში ყოფნის ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებდა ამიერკავკასიის ხალხების ქრისტიანიზაციის პროცესის საყოველთაოობას. სპარსეთის ოფიციალური ხელისუფლება ადგილობრივი არისტოკრატიის რენეგატულად განწყობილი წარმომადგენლების მეშვეობით გამუდმებით ცდილობდა ამ ქვეყნების მკვიდრთა შორის დაენერგა საკუთარი იდეოლოგია (ქართლში, ლეონტი მროველის ცნობით, ამ მისიის შესრულება მეფე ვარაზ-ბაკურს, ანუ ასფაგურს უკისრია. – ბ.ხ.), ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მხარი დაეჭირა ქრისტიანობის იმ მიმდინარეობებისათვის და სექტებისათვის, რომლებსაც დისონანსი და შფოთი შეჰქონდათ ბიზანტიის ოფიციალური ეკლესიის ცხოვრებაში და ამდენად, ხელს უშლიდა ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების ჯერ იდეოლოგიურ და შემდგომ უკვე პოლიტიკურ დაახლოებას სპარსეთის მეტოქე ბიზანტიის იმპერიასთან. თავის მხრივ ეს უკანასკნელიც მისი რელიგიური ემისრების მეშვეობით ცდილობდა იმპერიის ფარგლებში შემავალი თუ მისი საზღვრების სიახლოვეს მცხოვრები განსხვავებული კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების მქონე ხალხების საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ის გარემოება, რომ იმპერიაში ქრისტიანული ეკლესიის პირველი იდეოლოგები საზოგადოდ საუბრობდნენ და წერდნენ ბერძნულად, ბერძნული იყო იმ ეპოქაში ქრისტიანული ლიტურგიის ენაც. შემთხვევითი სრულებითაც არ იყო ის, რომ კონსტანტინე დიდმა (306-337 წწ.) თავის დროზე დაუფარავი სიხარულით მიიღო ცნობა იბერიელთა ქრისტეს რჯულზე მოქცევის შესახებ; რუფინუსის სიტყვებით, «ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე [მაშინ იქნებოდა, რომ] რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა»-ო (80:206-207), გელასი კესარიელი კი, წერს: «ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხოთესლთ უქვემდებარებს მას» (80:194).

ასეთ პირობებში ქრისტიანობაზე ახალმოქცეულ ხალხებში ბუნებრივად დაიბადა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეფექტური საშუალებისა და გზების გამონახვის დაუოკებელი სურვილი და მისწრაფება. ჭეშმარიტად ღვთის წყალობა იყო აღნიშნული პერიოდის იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ისეთი მასშტაბური და არაორდინალური პიროვნების გამოჩენის ფაქტი, როგორსაც წარმოადგენდა დიდი ბაკური. ლოგიკური იქნებოდა ის, თუ ამ პიროვნების შესახებ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მდიდარ ინფორმაციას დავიდასტურებდით. მაგრამ რეალურად გვაქვს საპირისპირო ვითარება: საისტორიო და საეკლესიო ტრადიციამ საგულისხმო ბევრი არაფერი იცის აღნიშნული მოღვაწის შესახებ. ეს გარემოება უცნაურად შეიძლება არც მოგვჩვენებოდა, რომ თუნდაც სამიოდე უცხოურ წერილობით წყაროში არ დაგვედასტურებინა ფრიად საყურადღებო ცნობები დიდი ბაკურის შესახებ. ეს წყაროებია: იოანე რუფუსის «პეტრე იბერის ცხოვრება», კორიუნის «ცხოვრება მაშტოცისა» და მოვსეს ხორენაცის «სომხეთის ისტორია». სამივე დასახელებული ავტორი V ს-ის მოღვაწეებად არიან მიჩნეული. ეს კი იმაზეც შეიძლება მეტყველებდეს, რომ დიდი ბაკური უკვე V ს-ში ცნობილი ყოფილა გარე სამყაროში, როგორც სახელგანთქმული ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მონარქი. ძნელია იმის მიზეზის ახსნა, თუ რით არის გამოწვეული ადგილობრივი წერილობითი ტრადიციის «უცოდინრობა» დიდი ბაკურის ნამოღვაწარის მიმართ. თუმცა, რა ვიცით ჩვენ საერთოდ ადრექრისტიანული ხანის ქართული მწერლობის შესახებ? მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, ცნობილია, რომ თავის დროზე სათითაოდ ყოფილა აღწერილი ათცამეტი ასურელი მამის «ცხოვრებანი»(VI ს.), მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ შემორჩენილ ფრაგმენტს, დღეს ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობია იმ მიზეზით, რომ ისინი ძველ დროშივე დაკარგულა. დღეს ნაკლებად თუ ვინმეს ეეჭვება ის ფაქტი, რომ იაკობ ხუცესის «შუშანიკის მარტვილობა» მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ნაწარმოებია და არა საერთოდ უძველესი ქართული თხზულება. V ს-ის I ნახევრის დროინდელი ქართული მწერლობის ნიმუშები, სამწუხაროდ, ჟამთა სიავეს ემსხვერპლა და დღევანდლამდე უკვალოდ არის გამქრალი.

ბესიკ ხურცილავა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქმარი, 4 წლის გოგონა და ძმები დამიხოცეს ქართველებმა, მაგრამ ბევრი კარგიც მახსოვს...

ჟურნალი „გზა“, 2010 წელი

“გამარჯობა, შვილო... მე იმ ბიჭის დედა ვარ, რომელსაც თქვენ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად, სიცოცხლე აჩუქეთ. ჩემი მეორე შვილი ქართულ-აფხაზურ ომს შეეწირა. ნეტავ, იმ ომში წასულ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთისთვის ეკითხათ გვარები – იქნებ, ეს სისხლისმღვრელი ომი არ დაწყებულიყო... ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ქართველებთან არ უნდა გვეომა. მაშინ ბიჭვინთის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და როცა ჩემი აზრი პირველად ვთქვი, კოლეგებმა უხეშად მითხრეს, – ამას იმიტომ ამბობ, რომ ქართველმა შვილი გადაგირჩინა, მაგრამ ნახე, რამდენი გამწარებული დედაა აფხაზეთში, ხომ არ დაგავიწყდა, როგორ ხოცავდნენ ჩვენს ბიჭებსო?! შორს რისთვის წავიდე – ქმარი, 4 წლის გოგონა და ძმები დამიხოცეს ქართველებმა, მაგრამ ბევრი კარგიც მახსოვს-მეთქი. ამის გამო სამსახურიდან გამათავისუფლეს... თქვენმა საქციელმა ყველაფერი სხვაგვარად დამანახვა.... ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და ერთმანეთს პატიება ვთხოვოთ საკუთარი ცოდვების გამო. ამ წერილს ტექსტს ლათინური ასოებით, დიდი რისკისა და იმედის ფასად გწერთ. იმედი მაქვს, თქვენამდე მოაღწევს, შვილო. მუდამ თქვენზე მლოცველი, მარინა ახუბა”, – ეს იყო პირველი წერილი, რომელიც აფხაზმა ქალბატონმა ქართველ ბიჭს 1997 წლის იანვარში მისწერა. კონვერტს ლათინური ასოებით, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი მისამართი ეწერა, – ქ. თბილისი და იმ სამხედრო ნაწილის დასახელება, რომელშიც ჩვენი რესპონდენტი მსახურობდა. ამიტომაც მან ადრესატამდე წლისა და 5 თვის შემდეგ მიაღწია. ადრესატი კი ასე იხსენებს ყველაფერს:

– ძმაკაცები შევიკრიბეთ და აფხაზეთის ომში გავიპარეთ. სკოლა იმ წელს მქონდა დამთავრებული. ოჯახში რომ გვეთქვა, ამის უფლებას არც მოგვცემდნენ, ჩვენ კი ბრძოლის ჟინი გვკლავდა და “გავიქაჩეთ”. ერთმანეთს ვასწრებდით, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ მივქარეთ. რამდენიმე დღეში 2 ბავშვობის მეგობარი თვალწინ მომიკლეს და ეს ჯერ კიდევ არაფერია... ახლა, როცა 2008 წლისა და 1990-იანი წლების ომებს ერთმანეთს ადარებენ, ამბობენ, მაშინ ჯარი კი არა, ლაშქარი გვყავდა, მაგრამ მოტივაცია უფრო მაღალი იყოო. არ იყო ასე, მაშინდელი ბრძოლის მოტივი უცოდინრობით იყო გამოწვეული – არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ერთ სოფელში გახურებული ბრძოლები იყო, რამდენიმე კილომეტრის იქით კი მეორე სოფელში ბიჭები ქეიფის ხასიათზეც კი იყვნენ და საკბილოს ეძებდნენ.

– რას ნიშნავს, საკბილოს ეძებდნენ?

– იმას, რომ მაშინ ერთი მიზნისთვის არ ვიბრძოდით. “დუხზე” ვიყავით მოსული, მაგრამ ყველას თავისი ინტერესი ჰქონდა, – ზოგს ანგარებიანი, ზოგსაც – უანგარო, მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია და ვინ რისთვის იბრძოდა, ძნელი გასარკვევი გახდა. იმათ, ვინც მართლა, სამშობლოს სიყვარულით იბრძოდა, არც საჭმელი ჰქონდათ, არც ჩასაცმელი და აღარც ტყვია-წამალი. სხვისთვის წართმევა არ შეგეძლო, ნაწილში კი იარაღს თუ მოგცემდნენ, ამისთვისაც მადლობა უნდა გეთქვა. ვერ ვიტყვი, უცოდველი კრავი ვიყავი-მეთქი. როცა ადამიანს ხელში იარაღს მისცემ და მერე მის კონტროლს ვერ შეძლებ, ის აუცილებლად რაღაც ბოროტებას ჩაიდენს; ძალიან მაღალი მორალი უნდა გქონდეს, რომ ასე არ მოიქცე... ომში წასვლამდე სულ რამდენჯერმე მქონდა იარაღი ნანახი. გადატენა და სროლაც კი არ ვიცოდი. ომში კი პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე მოვხვდი და მეთაურმა მკითხა, – იარაღი გაქვსო? – არა-მეთქი. მას სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. მხრებზე გადაკიდებული “კალაშნიკოვებიდან” ერთ-ერთი მოიხსნა და გადმომიგდო. მახსოვს, რამდენიმე წუთი დაუმიზნებლად ვისროდი, მერე ვიღაცამ მხარზე ხელი წამომარტყა. თავი რომ ავწიე, ვიღაც ბიჭი სიცილით კვდებოდა, – მაგარ მუღამში ხარ შესული, მაგრამ უკან უნდა დავიხიოთო. “მუღამში” კი არა, შიშმა და თავდაცვის ინსტინქტმა გამაკეთებინა... იმ დღესვე მასწავლეს იარაღის გადატენაც და დამიზნებაც... ომის ტაქტიკის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ აფხაზეთში რა საშინელებაც ტრიალებდა, ამას პირველკლასელიც კი მიხვდებოდა. დიდხანს ვკითხულობდი, რაღასთვის გადავდიოდით შეტევაზე, თუკი რამდენიმე მეომრის დაღუპვის შემდეგ ისევ უკან დავიხევდით?.. ეს კითხვა აფხაზეთის ომის ვეტერანებს დღემდე გვაწუხებს, მაგრამ რაღა დროს?!. ერთხელაც, ადგილობრივმა ქართველმა ჩაიდნინთ ცხელი თურქული ყავა მოგვიტანა და ერთჯერად ჭიქებში ჩამოგვისხა. ცხელი სითხისთვის თვეების განმავლობაში არ დაგვიკარებია პირი და დავეწაფეთ. ამ დროს ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, აფხაზი ტყვეები გვყავს და წამოდითო.

რამდენიმე ბიჭი გავქანდით... გაგრის რომელიღაც სოფლის ტყეში ვიყავით, სახელი არ მახსოვს. შუადღე გადასული იყო. საოცარი სიჩუმე იდგა. თითქმის დაცარიელებულ სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა. იმ სოფელში აფხაზები მხოლოდ რამდენჯერმე იყვნენ გავლით ნამყოფი, მაგრამ ჩვენებიც არ აკლებდნენ ხელს და იქაურობა მაინც გაპარტახებული და დაცლილი იყო... ერთი სიტყვით, ბანაკში რომ მივედით, მხოლოდ ერთი ბიჭი დამხვდა, გვარიანად ნაცემი იყო; დანარჩენები უკვე “გადაანაწილესო”. ის ჩვენ უნდა წამოგვეყვანა და სავარაუდოდ, დაღუპულ ქართველებზე უნდა გაგვეცვალა. ბიჭი ჩემი ტოლი იქნებოდა. დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. ეტყობოდა, რამდენიმე დღის აყვანილი ჰყავდათ ჩვენს ბიჭებს. შეშინებული არ იყო. ზიზღით მიყურებდა... უეცრად ბანაკში სროლა ატყდა. მივხვდით, რომ ჩვენს თავს კარგი არაფერი ხდებოდა და ავირიეთ. ვისაც ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდა, სროლის ხმას “გაჰყვა”, მე კი მიბრძანეს, – ტყვესთან დარჩი და თვალი არ მოაცილოო. “მაკაროვი” ფეხზე შევაყენე, – გაქცევის შანსი არა გაქვს-მეთქი. ის მიწაზე დაჯდა. სულ მეუბნებოდნენ, ტყვეს დაჯდომის უფლება არ მისცეო, მაგრამ რატომღაც უარი ვერ ვუთხარი. სროლები შეწყდა. მომაწევინეო, – მთხოვა. სადაური ხარ-მეთქი? – ვკითხე. – ბიჭვინთელიო... თქვენებმა ოჯახი ამომიწყვიტეს, 4 წლის და მომიკლესო... ორივე მხარის სისასტიკეზე მოსმენილი მქონდა და მისი სიტყვები აინუნშიაც არ ჩამიგდია. ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე, – რა გვარი ხარ-მეთქი? როცა მიპასუხა, ვიგრძენი, როგორ დამიბუჟდა ხელები: ეს ბიჭი, ჩემი მოსისხლე მტერი, რომელიც ჩემ წინ იჯდა და თვალებით მჭამდა, ჩემი მოგვარე აღმოჩნდა... არადა, ძალიან იშვიათი გვარი გვაქვს. ჩვენი გენეალოგია მამაჩემს დაზეპირებული ჰქონდა და ჩვენც დაგვაზეპირებინა. მისგანვე ვიცოდი, რომ ჩვენი გვარი თამარ მეფის დროიდან მოდის; მასვე უბოძებია თავადობა ჩვენი წინაპრისთვის. ზოგი ჩოლოყაშვილთან ერთად იბრძოდა და იმ წლებში დახვრიტეს, შემდეგ კი ნახევარზე მეტი “გააკულაკეს” და შუა აზიაში გადაასახლეს. მამაჩემი ამბობდა, 1950-იანი წლების ბოლოსთვის ჩვენი შტოს წარმომადგენელი სულ 10 კაცი დარჩა და ისინი მაშინდელ პატრიარქს ჩუმად დაულოცავსო... არ ვიცი, რომელი “დინების” ტალღამ წაიყვანა ჩემი ტყვის წინაპარი აფხაზეთში. მამა თავის მოგვარეებს ყველგან ეძებდა, მაგრამ აფხაზეთი არასდროს უხსენებია... ასე, ელდანაცემი ვიდექი რამდენიმე წუთი, მერე კი, როგორც იქნა, ამოვიღე ხმა და ვუთხარი, – მოგვარეები ვართ-მეთქი. გაფითრებული ბიჭი კიდევ უფრო გაფითრდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი გვარი ძე-ზე ბოლოვდება...

– ვიცი, რომ მაშინ ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და მეომრებს სამხედრო ფორმებიც არ ჰქონდათ. თქვენ თუ გქონდათ ფორმა და სამკერდეზე ხომ არ გეწერათ გვარი?

– კარგი, რა, სად გვქონდა ფორმა, მით უმეტეს წარწერიანი?!. აფხაზეთში შავი მაისურით წავედი და ჭრილობის მიღებამდე ის მეცვა... ამასობაში ჩვენი ბიჭები მოვიდნენ და ჩემი ტყვე “ვილისში” ჩასვეს. მეც მათ გავყევი. მთელი გზა ხმას ვერ ვიღებდი. დაჭრილი ხომ არა ხარო? – მკითხეს. – არა, უძილო ვარ-მეთქი. მივხვდი, რომ ეს ბიჭი ისეთ ადგილას მიჰყავდათ, სადაც ზუსტად ვიცოდი, რომ ცოცხალს არ დატოვებდნენ... ვიგრძენი, იმწუთას როგორ შემეცვალა აზროვნება, ვეღარ ვხვდებოდი, ვინ მტერი იყო და ვინ – მოყვარე, მე ვინ ვიყავი, იქ რა მინდოდა და რისთვის ვხოცავდით ერთმანეთს. გამახსენდა, რომ “პერესტრელკების” შემდეგ, ბიჭები ერთმანეთთან სალაპარაკოდ გადადიოდნენ და რამდენიმე საათის შემდეგ ისევ სისხლისმღვრელი ომი იწყებოდა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა “ომობანას”, რომელსაც უბანში ბიჭები ვთამაშობდით, მორიგი შეტევის დასრულების შემდეგ, ერთმანეთს “გრეხებს” ვუხსენებდით და მერე ისევ თამაშს ვაგრძელებდით. ოღონდ იქ, წაგების შემთხვევაში, საქმე ცხვირ-პირის დამტვრევამდე მიდიოდა, აქ კი – სიკვდილამდე... უეცრად ერთ-ერთმა თქვა, – შეეჩერდეთ, ბიჭები უნდა მოვიდნენო. მანქანიდან გადავიდნენ და შორიახლოს გაჩერდნენ, ისეთ ადგილას, სადაც გაჩერება სახიფათო იყო: ვინმეს ერთი ტყვია რომ ესროლა, მანქანიანად ჰაერში აგვწევდა. მე არ გადავსულვარ და როგორც კი ისინი თვალს მიეფარნენ, ამას ვუთხარი, – წადი აქედან-მეთქი. სანამ გონს მოვიდოდა, წიხლი ვკარი და მანქანიდან ჩავაგდე. ერთი კი შემომხედა გაოცებულმა და დაღმართზე თავგუდმოგლეჯილი დაეშვა... მაშინვე ორი ტყვია მივადევნე – ერთი ჰაერში ვისროლე, მეორე კი ხელისგულზე დავიხალე (ჩემი რესპონდენტი ტყვიისგან გაგლეჯილ და უსწორმასწოროდ შეხორცებულ კიდურს მიჩვენებს. – ავტ.)... რამდენიმე წუთში მოცვივდნენ ბიჭები. ფანჯრიდან გავიხედე თუ არა, დრო იხელთა და ჩემკენ გამოიწია-მეთქი; ისიც ვუთხარი, – ერთი ტყვია მივაყოლე და შორს ვერ წავიდოდა-მეთქი... ახლანდელი ომი რომ ყოფილიყო, საყვედურებით ამავსებდნენ, დაჭრილი და ნაცემი კაცი როგორ გაგექცაო, და სიმართლეც იქნებოდა. მაგრამ მაშინ ქართული ჯარი ჩემნაირი მოხალისეებით იყო სავსე... თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, ერთმა ბიჭმა მითხრა, – იქვე ვიდექი და ვნახე, როგორ გადმოყავი ხელი და ჰაერში ისროლე იარაღი, პალმის ტოტი ჩამოწყდა და ჩემ წინ დაეცა; ის ბიჭი გაშვებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაქცეულსო.

– მიხვდა?

– დიახ, მაგრამ არ შეიმჩნია... ომის დამთავრებამდე მასზე აღარც გვისაუბრია. შემდეგ კი ერთხელაც, დავთვერი და ყველაფერი მოვუყევი. უსიტყვოდ მისმინა, მერე კი მკითხა, – მას შემდეგ არ შეგხმიანებიაო?!

– ეს შეკითხვა მეც გამიჩნდა...

– კი, დედამისმა მომძებნა, ოღონდ ნუ მომაყოლებთ – როგორ და ვისი დახმარებით. ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა გვაქვს.

– მოგვარე აფხაზის გაცნობამდე ტყვეებთან ურთიერთობა გქონიათ?

– კი, რამდენჯერმე. მაგრამ რუსული ცუდად ვიცოდი, ისინი კი, რომც სცოდნოდათ ქართული, იქვე რომ დაგეხვრიტა, მაინც არ დაგელაპარაკებოდნენ. ისე კი, ცოდვა გამხელილი ჯობს და, როცა ერთიორს წამოარტყამდნენ, ამისგან არც მე ვიკავებდი თავს... ომი კანონებს არ ცნობს. ისინიც ისე ექცეოდნენ ჩვენებს. იქ სხვანაირი ხდები, – ხან ძლიერი ხარ, ხან სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ ხშირად – ფინია ძაღლივით მშიშარა და თავის მოკვლაზეც კი ფიქრობ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს კოშმარი. თუმცა, ვიღაცის თუ რაღაცის შიშით ვერ ბედავ ამის გაკეთებას... ბიჭების წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და სოხუმის დაცემამდე იქიდან ფეხი არ მომიცვლია. 23 აგვისტოს კი სკოლის შენობა დაბომბეს და იქიდან პირდაპირ თბილისის მორგში მოვხვდი. დედამ მკვდრებში მიპოვა და სასწაულებრივად გადამარჩინეს. განახევრებული ჯანმრთელობითა და ფსიქიკით შემოვრჩი ამ ცხოვრებას...

ჩემი რესპონდენტის დახმარებით, მის მიერ გადარჩენილ აფხაზ მეომართან დაკავშირება ვცადე, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან იქაური უშიშროება სატელეფონო საუბარს მკაცრად აკონტროლებს. ქართველის ტყვიას გადარჩენილი აფხაზი კი ინტერნეტით არ სარგებლობს, რადგან ენგურს მიღმა ინტერნეტი ჯერ კიდევ ფუფუნების საგნად რჩება.

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

ვათანძარა აფშინაშვილი გვემუქრება...

ვათანძარა მეგობრებო! ორიოდე დღის წინ მე შევეცადე თქვენი ყურადღება გამემამახვილებინა იმაზე, რომ თურმე ანტიმეგრული **„შაიკის“** ერთ-ერთი ობერია ვინმე ვაჟა აფშინაშვილი... ჰოდა, ნახეთ როგორ გვემუქრება უკვე ეს ვათანძარა! თანამემამულენო! საქართველოში მარგალოფობია სამწუხარო რეალობაა! ქართულმა საზოგადოებრიობამ თუ არ მისცა ამას შესაბამისი კვალიფიცირება და არ მოახდინა რეაგირება – არის დიდი შანსი, რომ ერის ერთიანობას უდიდესი საფრთხე შეექმნება!!!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲐᲤᲨᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ – p.s არავითარი ერთი და იგივე თემა არ არის... სამეგრელოში გამალებული პროპაგანდაა სეპარატიზმის და ამას მეგრელების უმრავლესობა უკვე ვეღარ ხვდება, ან არ ხვდება. ან შეგნებულად აკეთებენ უკვე... აფხაზეთი დაგავიწყდათ? თუ გაგახსდენოთ რაც მოხდა და რისი შედეგები იყო?? რატომ მოხდა და რამ გამოიწვია აფხაზეთიდან – სამშობლოდან მეგრელების დარბევა და საქართველოს დაქუცმაცება? აი ეგ იყო რასაც ახლა აწვებით ადრევე და შედეგებიც იხილეთ: თქვენი თვალით, არ გაბედოთ ჩემზე რაღაც სისულელე ანტიმეგრელის წამოძახება, მე რომ სოხუმს და ოჩამჩირეს ვიცავდი, მეგრელების უმრავლესობა ბაზარში იდგა და ვაჭრობდით, ასევე დუბაიში ბიზნესებით იყავით დაკავებული და არ გაბედოთ! კიდევ გიმეორებთ, მომიყვანეთ ისტორიული წყარო, სადაც იხსენიება სამარგალო, მეგრელი და ა.შ. ეგეთს ვერ იპოვით, გარდა მე-18-19 საუკუნეების ცნობებისა... ადრე არ არსებობდა ეგ სახელი, ეგ მეფის რუსეთმა შექმნა, ხაზარულმა იმპერიამ შექმნა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის დასაქუცმაცებლად და თქვენ მაგ გზაზე დგახართ, მაგ გზაზე იდექით აფხაზეთში და, გიმეორებთ, ეს ბოლო იქნება თქვენთვის, თუ აზრზე არ მოხვალთ!

გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი: ნაძირალა აფშინაშვილო! როგორც იტყვიან, “პოჩერკზე” გცნობთ, რადგან მხოლოდ შენისთანა გაუნათლებელი და ბნელი ადამიანი შეიძლება იყოს ამგვარი მკრეხელური აზრების გამავრცელებელი! რაც შეეხება შენნაირ არაადამიანებს, ისინი აფხაზეთში ჩასულები იყვნენ არა საქართველოს ერთიანობისათვის საომრად, არამედ აფხაზი და ქართველი მოსახლეობის გასაძარცვად. ესეც არ იკმარეთ, და სამეგრელოს მოედეთ თემურ ლენგის ურდოებივით და საშინელებებს სჩადიოდით, მაგრამ პასუხი მხოლოდ იმიტომ არ გაგებინეს, რომ ამას ყველაზე დიდი მეგრელთმოძულე შევარდნაძის მითითებით აკეთებდით! ალბათ სამეგრელოს არარსებობასაც შენი უგვანო მშობლები გიდებდნენ თავში და ამიტომაც ხარ ამგვარი ტვინნაღრძობი არაკაცი!

მიგვიფურთხებია შენთვის და შენი მშობლებისთვისაც, რადგან სწორედ შენნაირი არაადამიანები ურყევენ საძირკველს საქართველოს სახელმწიფოებრიობას!

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

სული ძვრებოდათ არაკაცთ შიშით,
თუმც ვერ მალავდნენ ფითრნაკრავ სახეს,
რადგან მათ შორის “ზეკაცად” იშვი,
მოგკლეს და მერე ულმობლად გზრახეს.

წუხს საქართველო სინდისს გათელილს,
სისხლიან ხელებს მალავს მავანი,
მაგრამ “დღესავით არის ნათელი –
რას იტყვის შენზე შთამომავალი”

ᲘᲚᲘᲐ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1995 წელი

ჯაბა ბოჯგუა ისევ მსჯავრდებულია

მართლაც მიგვიფურთხებია ასეთი კანონისათვის!

6 წელი შერულდა, რაც მომდერალი ჯაბა ბოჯგუა უგონო მდგომარეობაშია. ოჯახი მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგას, არ აქვთ ბინა, სრულფასოვანი მკურნალობისთვის საჭირო თანხა. ჯაბას დედა, ქალბატონი მანანა გვასალია ჩემი რესპონდენტი არაერთხელ ყოფილა და ავადმყოფი მომდერლის ფოტო პირველად ჟურნალ **"გზაში"** დაიბეჭდა. მაშინ ჯაბა პირადად მოვინახულე. დედამ უთხრა, – ჯაბა, დედი, ჟურნალისტი მოვიდაო. – შეიშმუშნა, სახეზე წამოწითლდა. ქალბატონმა მანანამ მითხრა, – რასაც ველაპარაკები, ესმის, თავის სიმღერას რომ ვასმენინებ, ცრემლი მოსდისო. ეს ყველაფერი 4 წლის წინ იყო. ჯაბა დღესაც იგივე მდგომარეობაშია.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჯაბა დღეს ისევ მსჯავრდებულია. მისი შეწყალება არ მომხდარა და პერიოდულად, პრობაციის სამსახურიდან აკითხავენ.

მანანა გვასალია, ჯაბას დედა: – ჯაბას 2 წელი ციხეში უნდა გაეტარებინა და ამის შემდეგ 4 წელი პირობითი მსჯავრი უნდა მოეხადა. 4 წელი უკვე გავიდა, პრობაციონერი აღარ არის, მაგრამ ციხის საავადმყოფოში ავადმყოფობის პირველი 4 თვე გაატარა, დარჩენილი და წელიწადი და 6 თვე – გადაუვადეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოჯანმრთელებამდე შინ იქნებოდა, ხოლო თუ მდგომარეობა გაუუმჯობესდებოდა, ციხეში დააბრუნებდნენ, გადავადებული სასჯელის მოსახდელად.

– გამოდის, რომ ჯაბა დღესაც მსჯავდებულია?

– დიახ, და ალბათ ასე უნდა იარონ სასჯელაღსრულების თანამშრომლებმა და ამოწმონ, გამოფხიზლდა თუ არა. ეს სირცხვილია. ჩემთვის ძალიან რთული ასატანია.

– ჯაბას გონება რომ დაუბრუნდეს, დააპატიმრებენ?

– არ ვიცი, შვილო, აზრი ვერ გამომაქვს. ასე დადიან, 6 წელია. ხან თვეში ერთხელ მოდიან, ხან – 2 თვეში ერთხელ და ხელს და რაღაც საბუთებზე მაწერინებენ. რამდენიმე თვის წინ შევედავე და დამემუქრნენ, – შენ დაგსჯითო. ამ საქციელს რა შეიძლება ეწოდოს? ჯაბას მდგომარეობა ხომ ყველამ იცის? შემოდიან შინ და ნახულობენ, რომ ნამდვილად უგონო მდგომარეობაში წევს. რა დააშავა ასეთი, რომ დღემდე არ შეიწყალეს? ბოლოს, 2 კვირის წინ იყვნენ მოსული. ამნისტია არ შეიძლება შეეხოს? ჯაბას 2 საათზე მეტი დროით ვერ ვტოვებ, სადმე რომ წავიდე და ჩემს უფლებებში გავერკვე. ყოველ 2 საათში ვაბრუნებ, სხეულს ვუმუშავებ, რომ ნაწოლები არ გაუჩნდეს. თქვენი საშუალებით საჯაროდ მივმართავ პრეზიდენტს, შეწყალების კომიისიას და ყველა ინსტანციას, ვისაც ჩემი პრობლემის მოგვარება შეუძლია: ძალიან გთხოვთ, შეიწყალეთ ჩემი შვილი! ჯერ ხომ არ ვიცი, ჯაბას მდგომარეობა როგორ წარიმართება? მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა და საბუთებზე ხელის მოწერა გამაღიზიანებელია. ნაქირავებში ვცხოვრობთ, ბინის პრობლემა მაქვს. რომ იგებენ, ავადმყოფი მყავს, სახლში ჩვენი შეშვება არავის უნდა. ჯაბას მდგომარეობაში მცირედი უკეთესობაა, ყველაფერს გრძნობს. სიზმარი მაქვს ნანახი, – გონს მე-7 წელს უნდა მოვიდეს და ამ სიზმრის ახდენას ველოდები.

მიხეილ ღოღაძე, იურისტი: – რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯაბა ბოჯგუა დღესაც მსჯავრდებულად ითვლება და მსჯავრი გადავადებული აქვს, წელიწადში ერთხელ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს. თუ ისევ ისეთი მდგომარეობა ექნება, როგორიც გადავადების დროს იყო ან – უფრო დამძიმებული, მაშინ სასჯელი კიდევ გადაუვადდება. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუმჯობესდება ან სრულად განიკურნება, აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება ანუ პიროვნებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოათავსებენ.

– სასჯელაღსრულების სამინისტროა ვალდებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმოს?

– ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს.

– ექსპერტიზას ვინ უკვეთს?

– ოჯახის წევრები. პერიოდულად, სასამართლოს პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობას წარუდგენენ. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, კვლავ გადაუვადოს სასჯელი თუ შეასახლოს დაწესებულებაში.

– შეწყალება რომ მოხდეს, არ შეიძლება? დედა ძალიან განიცდის. კანონის ფარგლებში, რა შეუძლია, მოითხოვოს?

– როგორც წესი, იმ მსჯავრდებულების შეწყალება ხდება, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან. რადგან ჯაბას სასჯელი გადავადებული აქვს და არც პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფება, პრეზიდენტი მას ვერ შეიწყალებს, ეს ბრძანებაში არ უწერია. პრეზიდენტის შეწყალების სპეციალურ ბრძანებაში არ წერია, რომ ასეთ პიროვნებებზე შეიძლება იმსჯელოს. თუ მსჯავრდებული გონს მოვა და ექიმები დაასკვნიან, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ამ პიროვნებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეაბრუნებს თუ არა. შემდეგ შეიძლება, შეწყალებაზეც საუბარი.

თ. კვინიკაძე

P.S. მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი მარგველაშვილი (სააკაშვილის მსგავსად) დაუფიქრებლად იწყალებს პირწავარდნილ დამნაშავეებს, რომლებიც ციხიდან გამოსვლისთანავე სჩადიან მკვლელობებს, ვერა და ვერ გადაუწყვეტია სასჯელი მოუხსნას წლების განმავლობაში კომაში მყოფ ჯაბა ბოჯგუას, რათა ზედმეტი საზრუნავი არ გაუჩნდეს მის გატანჯულ დედას. კანონი არ არისო! მართლაც მიგვიფურთხებია ამგვარი კანონებისათვის!

ევროპამ სახეში შეაფურთხა ქართველ ხალხს! ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციაზე ევროპარლამენტში მიწვეული იყო სააკაშვილი – ათობით ათასი ქართველის ჯალათი, მკვლელი და ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავე!

18 დეკემბერი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დღე გახლდათ: ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.

ცნობილი გახდა, რომ ცერემონიას საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრის სტატუსით დაესწრო.

ის სტრასბურგში ევროპის სახალხო პარტიამ – საქართველოს ექსმმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა პარტნიორმა (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს პოლიტიკურ-პედერასტული ძალა სააკაშვილისა და ნაცების მიერ საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან ქურდულად ამოღებული ფულითაა მოქრთამული) მიიწვია.

ამგვარად, კიევის ხელისუფალთა შემდგომ, მთავრობა სააკაშვილის ექსჩინოვნიკებით რომ დააკომპლექტეს, რომლებზეც მათ სამშობლოში სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, ქართველ ხალხს სახეში ახლა უკვე ევროპამ – ევროპარლამენტმა და ევროკავშირმა შეაფურთხა, რომლებმაც მიიწვიეს და დაუშვეს სტრასბურგში ცერემონიაზე საერთაშორისო სამხედრო დამნაშავის ყოფნა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში კაცობრიობის წინაშე სასტიკი დანაშაული ჩაიდინა და ოსი ხალხის გენოციდი მოაწყო; რუსი მშვიდობისმყოფლებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიას მკვლელი, ჯალათი, რომლის ბრძანებითაც ციხეებში ათობით ათას პატიმარს აწამებდნენ და ამ არაადამიანურ წამებას ვიდეოზე იწერდნენ; რომლის ბრძანებითაც თბილისის ქუჩებში ასამდე უდანაშაულო ახალგაზრდა მოკლეს; რომლის ბრძანებითაც სადამსჯელო ოპერაცია 7 ნოემბრისა და 26 მაისი მომიტინგეთა წინააღმდეგ მასობრივ სისხლიან სასაკლაოდ იქცა, დაჭრილებითა და მოკლულებით.

სააკაშვილის წინააღმდეგ მთავარმა პროკურატურამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და განაცხადი სისხლის სამართლის ძებნაში მისი გამოცხადების შესახებ ინტერპოლს გადასცა. ერთ-ერთი საქმიდან ირკვევა, რომ ყველაფერი დანარჩენის გარდა, ის ხაზინის ქურდიცაა, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიონი ლარი მოიპარა!

თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ევროპარლამენტისათვის, სააკაშვილი მიეწვია...

კარგად დაფიქრდით, ქართველებო, გეჭირდება კი ასეთი ევროპა?!

საქინფორმი

პუტინი ღარიბაშვილს და მარგველაშვილს მოსკოვში ეპატიჟება

თუ საქართველოს ხელისუფლება ჩათვლის შესაძლებლად, მოხარული ვიქნებით, საქართველოს მთავრობის ნებისმიერი წარმომადგენელი, იქნება ეს პრემიერი თუ პრეზიდენტი, მოსკოვში ვიხილოთ, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია **"მაესტროს"** ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას უპასუხა.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს შიგნით რუსეთს პრაქტიკულად არ აქვს ურთიერთობები.

"როგორც ვხედავთ, საქართველოში არ წყდება შიდაპოლიტიკური დაპირისპირება. თავის დროზე ჩვენ გვთხოვეს ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაგვეშვა და ჩვენ ეს გავაკეთეთ საქართველოს გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ, წინააღმდეგობა არ გაეწია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. ეს იყო ძალიან კარგი ჟესტი საქართველოს ხელისუფლების და ჩვენ ვუპასუხეთ ამ ჟესტს რუსული ბაზრის გაღებით. ჩვენ მომავალშიც მზად ვართ ამ მიმართულებით ვიმოქმედოთ", – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ვლადიმერ პუტინი ასევე შეეხო საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს. მისი განცხადებით, საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხი იმ ხალხთან დიალოგში დგას, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, თავის დროზე არაერთხელ არწმუნებდა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომ არ დაეწყო საბრძოლო მოქმედებები. მისივე თქმით, რუსეთს ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ სააკაშვილს დევნიან.

"მას დევნის საქართველოს მოქმედი ხელისუფლებაც და არა – ჩვენი ინიციატივით. ჩვენ ამაში ბრალი არ მიგვიძღვის. ყოველთვის ვეუბნებოდი, ნუ გააკეთებთ ამას, ნუ დაიწყებთ საბრძოლო მოქმედებებს. მპასუხობდა, არა, არავითარ შემთხვევაშიო. მაგრამ შედეგი ყველასთვის ცნობილია. ძალიან ძნელია ამ ვითარებიდან გამოსვლა. მესმის, რომ ეს საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის დიდ ჭრილობაა, მტკივნეულია. 1919 წელიც ხომ გახსოვთ, მაშინაც მძიმე მოვლენები იყო რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობის შესახებ გამოაცხადა, აფხაზეთმა კი რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის სურვილი გამოთქვა. მაშინაც ყველაფერი იგივე იყო, სადამსჯელო ოპერაცია, საბრძოლო მოქმედებები. ჩვენ არ ვართ დამნაშავე, თუმცა ყველა ჩვენ გვადანაშაულებს,

რომ ჩვენ ვახდენთ პროვოცირებას. ჩვენ არაფრის პროვოცირებას არ ვახდენთ. ასე მოხდა. უნდა დაველაპარაკოთ ამ ხალხს, ჩვენ მზად ვართ შუამდგომლობისთვის. მას შემდეგ რაც მოხდა ამ გაფრთხილებების დაიგნორება, დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, რუსეთმა აღიარა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. გულწრფელად გეტყვით, რომ ძნელია რაიმეს გაკეთება, მაგრამ საჭიროა პირველ ეტაპზე თუნდაც ურთიერთობების დალაგება, პირდაპირი კონტაქტები, პოლიტიკური დიალოგი. თუ ეს მოხერხდება, ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს ამ პროცესს", – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ქართულ მხარეს ჯერ არავითარი რეაგირება არ მოუხდენია ვლადიმერ პუტინის აღნიშნულ განცხადებაზე, რაც საკმაოდ დადებით მესიჯს წარმოადგენს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საქმეში არსებული პრობლემების მოწესრიგების იმედს გვინერგავს. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოს პოლიტიკურ გეზს დღეს სრულად აკონტროლებს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნებართვის გარეშე, რა თქმა უნდა, კრინტის დაძვრას ვერავინ გაბედავს. ასე იყო მაშინ, როცა სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებას აპირებდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მაგრამ აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა მას ამის უფლება არ მისცა.

და ამას ვეძახით ჩვენ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს ტერიტორიების გაყიდვისა და გასხვისების უახლესი ისტორია!

„ვინც შენატრის საქართველოს სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს ღმერთი"

ზვიად გამსახურდია

„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებს ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.... თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვრებს."

კონსტანტინე გამსახურდია

„ინგლისელებს არ დაუპყრიათ ინდოეთი, არამედ ჩვენ თვითონ მივეცით მას"!

მაჰათმა განდი

ამ ორი უდიდესი მოაზროვნისა და მამულიშვილის კონსტანტინე გამსახურდიასა და ინდოელი მოღვაწის, ჰუმანისტის მაჰათმა განდის ბრძნული სიტყვები როგორ შეესაბამება დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას, რომლის იავარქმნაში საქართველოს მე-5 კოლონად წოდებულ მოქალაქეებს დიდი წვლილი მიუძღვით.

ჩვენ იმ თაობის წარმომადგენლები გახლავართ, რომელიც მოწმეა ზვიადისა და მერაბის სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლისა, რომელთაც ქართველ ერთან ერთად, თავიანთი უკომპრომისობით, პირველქრისტიანთა მსგავსად, ომი გამოუცხადეს საბჭოთა იმპერიასა და მსოფლიოს სხვა იმპერიებს, რაშიც ქართველმა ერმა სულიერი მისიის ავტორებს სრული თანადგომა გამოუცხადა და როგორც ფიზიკურ ისე სულიერ პლანში, სრული გამარჯვება მოიპოვა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში კანონიერი ხელისუფლება მოვიდა, მისი მოსახლეობის ძალისხმევით, ჩვენ მოწმენი გავხდით ქართული სულის ისეთი აღზევებისა რომ, ლაზების ოთხმილიონიანმა მოსახლეობამაც კი საქართველოს და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა გამოუცხადა, რამაც იმპერიების გაუგონარი რისხვა გამოიწვია, რამეთუ საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და მოსახლეობის სულიერი ამაღლება აშკარად ეწინააღმდეგებოდა „ახალი მსოფლიო წესრიგის" მამების გეგმებს და რამეთუ ეს მათ სამომავლო გეგმებს ჩაუშლიდა, რადგან ამირანის – პრომეთესეული თავისუფლების ცეცხლი, საქართველოდან, ჯერ მთელს კავკასიაზე გავრცელდებოდა, ხოლო კავკასიიდან მთელს მსოფლიოს მოედებოდა.

1992 წელს საქართველოს სულიერი და ფიზიკური ოკუპაციის ავტორებს – ევროამერიკულ იმპერიებს და საბჭოთა იმპერიას მიზნად ჰქონდათ დასახული ერის ერთიანი სულის მოშლა, რისი განხორციელებისათვის მათ საქართველოს გეოპოლიტიკური ტერიტორიის ხელში ჩაგდება სჭირდებოდათ და სჭირდებათ დღესაც; ტერიტორიული მთლიანობის რღვევა კი დიდად შეუწყობდა ხელს ამ საქმეს და აკი შეუწყო კიდეც. საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე მტერი ყოველთვის ცდილობდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქართველი ერის სულის სიმტკიცის განადგურებას.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენითა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლით მათ ეს გეგმები ჩაეშალათ და ამიტომაც „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა სწრაფად აამოქმედეს. დაიწყო ქართული ერთიანი ეროვნული სულის რღვევის პროცესი, რაც ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილმა მოღალატეებმა სწრაფად მოახერხეს და რისთვისაც ისინი მუდმივად ფინანსდებოდნენ. ქართველის ერის დაქსაქსვამ და მოსახლეობის გახლეჩამ, თანდათანობით უნდობლობის მარცვალი გააღვივა ოთხმოცდაათიან წლებში გმირულად მებრძოლ ერში, და 20 წლის თავზე, დღეს, იგი უკვე გაურკვევლობაში და უნდობლობაშია ჩავარდნილი..

რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილ აგენტთა საქმიანობას, მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლომის წილი მიუძღვით ამ საქმეში; მათი უხვად დაფინანსება მრავალმხრივი საშუალებებით ხორციელდებოდა საერთაშორისო ფონდების მიერ და ხორციელდება დღესაც; მათ შორის მთავარ დამრტყმელ ძალას ჯორჯ სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება" წარმოადგენს (დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი ხომ სწორედ სოროსელებისაგან შედგება, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ისინი „ნაციონალები" არიან თუ „ოცნების" წარმომადგენლები, ორივე ე.წ. მხარე ერთ საქმეს – საქართველოს დაშლა-განადგურებას ემსახურება, ოცნების მთავარი მოიერიშე ნაწილიც ხომ, ისევე როგორც ნაციონალების, დაკომპლექტებულია სწორედ საქართველოსაგან სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გამოყოფის შევარდნაძისეული შეუვალი იდეის პრაქტიკულად განმახორციელებლებით). დღეს ე.წ. ხელისუფლებაში მყოფი ეს უცხო ქვეყნის აგენტები, ისევე როგორც მათი წინამორბედნი ხომ გაიძახიან, რომ საქართველო როგორც „დემოკრატიული სახელმწიფო" შედგა, განა შეიძლება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე საქართველოს სახელმწიფო შედგეს? განა ქვეყნაში „დემოკრატიის დამყარება" მისი ტერიტორიების დაკარგვას ნიშნავს? (იხ. 2001წ. აშშ–ში ირვინის შტატის კალიფორნიის უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები, „საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ასპექტები", გამოცემის თანაავტორი პაატა ზაქარეიშვილი).

შემთხვევით ხომ არ გამოჩნდა ეს მზაკვარი სოროსი დღეს, საქართველოში, თავისი პროექტებით, რომელიც დემოკრატიის ნიღბის ქვეშ, ჩვენს ქვეყანაში, თავის ვერაგულ გეგმებს ახორციელებს?

დიდი პედაგოგი-შეფი და ამ ფონდის დამაარსებელი ჯორჯ სოროსი თავისი ერთგული მოწაფეების დასახმარებლად ა.წ. 15 ნოემბერს ამ ფონდის შემაჯამებელ, 20 წლის იუბილეზე ჩამოვიდა თბილისში. ეს საერთაშორისო თაღლითი საქართველოს ხუთი „წამყვანი" უნივერსიტეტის 200-მდე სტუდენტს ე. წ. მომავალი თაობის წარმომადგენლებს შეხვდა, რომელნიც სწორედ სოროსულად – ანტიეროვნულად აღზრდილნი არიან და ამაგს არ უკარგავენ „ამაგდარ" პედაგოგს, რომელიც მათ, მის მიერ დაგეგმილ „სამეცნიერო" თაღლითობაში, აოსტატებს. სოროსის ამ უკანასკნელი ვიზიტით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ. დღევანდელ ე.წ. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური სპექტრი სოროსის მიერ არის გამოზრდილი და მორჩილია. შევარდნაძის ხელისუფლებაში სისხლით მოსვლის შემდეგ, ყველა რეჟიმი მისი ხელდასხმულია და ასრულებს ანტიქართულ გეგმებს.

გარდა „სამეცნიერო" მუშაობისა, ამ თაღლითმა ქართველ სტუდენტებს პოლიტიკური პოსტულატებიც შესთავაზა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების „სოროსული" გეგმა გაუზიარა: საქართველოს არ აქვს რესურსი, რომ რუსეთს დაუპირისპირდეს – განაცხადა მან. ეს კი მამა-ბუშის ზვიად გამსახურდიას მისამართით ნასროლი სიტყვების – „ზვიად გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავს" პერიფრაზირებაა.

1991-92 წლის ბოლშევიკურ-რევანშისტულ, მაფიოზურ-კრიმინალური გადატრიალებიდან დღემდე საქართველო უკანონო ხელისუფლებათა მარწუხებშია მოქცეული. ყოველი ახალი ე.წ. ხელისუფლება, რომელიც ისევ და ისევ უკანონო არჩევნებით „მკვიდრდება" ჩვენს ქვეყანაში, ყველაფერს სჩადის იმისათვის, რომ მისი წინამორბედი პუტჩისტი ხელისუფლების გეგმები სისრულეში მოიყვანოს და ამას ახალი დემოკრატიული გზით სიარულს უწოდებს. თავისი მოკლე ჭკუით ისინი ქართველ ხალხს თვალში ნაცარს აყრიან. ამიტომაც არსად არ აკარებენ პოლიტიკურ წრეებში ქართველი ხალხის იმ ნაწილს, რომელმაც კარგად იცის საქართველოს უახლესი ისტორია და კიდევაც საჯაროდ აცხადებს ხუნტის ხელისუფლებაში მოსვლის ნამდვილ მიზეზებს. შინაური და გარეული მტერი, რომ ერთ საქმეს ემსახურებოდა ეს, კიდევ ერთხელ, 2008 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის მედვედევის განცხადებაში გაცხადდა, როდესაც მან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სოხუმის დაბომბვაში დაადანაშაულა, მ. სააკაშვილმა პასუხი არ გასცა მედვედევის განცხადებას. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ სააკაშვილის რეფრენი, რომელსაც იგი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახმიანებდა: „მე მტერი არა მყავს, მტერი საქართველოს ჰყავსო". ჭეშმარიტად, საქართველოს მტერი მისი მტერი არასოდეს ყოფილა, რამეთუ თვითონ, ბავშობიდან ჩვენი ქვეყნის მტრად იყო გამოზრდილი.

1992 წელს, ხუნტამ, ჩვენი ქვეყანის სათავეში მოსვლით, სახელმწიფოს წინაშე მთავარი ბოროტმოქმედება ჩაიდინა. მაფიოზურ-კრიმინალურმა კლანმა, უცხო ქვეყნის დიდი მხარდაჭერით, კანონიერი ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც რეფერენდუმის გზით იქნა განხორციელებული, პუტჩის მეშვეობით სისხლში ჩაახშო და მსოფლიო „დემოკრატთა" ელიტის წინაშე მაამებლური ანგარიშით წარსდგა. (მისი ე.წ.სახელი „დიდი პოლიტიკოსიც", ხომ მან ასეთი ბინძური საქმეების განხორციელებით დაიმსახურა)

დღეს, როდესაც ე.წ. ხელისუფლებაში მყოფი პუტჩისტები ხალხის თვალის ასახვევად მხოლოდ და მხოლოდ უცხო ქვეყანას ადანაშაულებენ (რასაკვირველია ეს ასეც არის) ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვას, უპრიანია გავიხსენოთ საქართველოს ისტორიის ბოლო ოცწლიანი პერიოდი, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც და რომელიც ჩვენს ქვეყანას, მათ მიერ ჩადენილი სულ ახალ-ახალი დანაშაულისა და ღალატის მორევში ითრევს.

ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ განდევნა 1992 წელს, კრიმინალურმა ხუნტამ, საქართველოდან საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლება და ამით ქვეყანას, პირველ რიგში, ტერიტორიული მთლიანობა დაურღვია. პუტჩის მიზანი ცალსახად ერთი იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო, როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი დანგრეულიყო და მისი ტერიტორიების გასხვისებით, როგორც სახელმწიფო, მთლიანად გამქრალიყო მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან, ხოლო მათი ეს ე.წ. შეურიგებელი და „უკომპრომისო" გამოსვლები დაბალი თუ მაღალი ტრიბუნებიდან, სხვა ქვეყნის მიერ წართმეული ტერიტორიების შესახებ, მხოლოდ ბრიყვთა და უგუნურთთვის დაყრილი საკენკია.

ახლა რაც შეეხება იმ კონკრეტულ საკითხებს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიების გასხვისებას შეეხება. საქართველოს ე.წ. ხელისუფლებაში სისხლით მოსულმა შევარდნაძემ, თავის უცხოელ თუ შინაურ მოღალატეებთან ერთად, 1992 წლიდან დაწყებული, საქართველოს მიწა-წყალი უმოწყალოდ გაასხვისა, მის მიერვე ხელმოწერილი ე.წ. ხელშეკრულებების შესაბამისად. ამას მოწმობს 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულება, რომელიც ქართველი ხალხის ზურგს უკან დაიდო და რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ჯერ კიდევ დევნილობაში, ქ. გროზნოში, მყისიერად, ადეკვატური შეფასება მისცა ამას და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ვერაგული ხელშეკრულებით, შევარდნაძემ საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორიები სეპარატისტებს გადაულოცა. დღეს პუტჩისტთა და ამ ე.წ. პატრიოტთა „კვნესა-ვაება", საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსის შესახებ, კიდევ ერთი მორიგი ფარსია, ვინაიდან მათ კისერზეა საქართველოს ტერიტორიების გაყიდვა-გასხვისება და ამას, ჩვენს თვალწინ, შეეწირა ეროვნულ-გამათავისუფლების მოძრაობის არმია და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც საპროტესტო მიტინგებზე შევარდნაძის წითელი, მასონური ტერორის მსხვერპლი გახდა.

რად ღირს თუნდაც ის ფარსი, რომელიც გათამაშდა 1990 წლის 9 დეკემბერს, ე.წ. ოსეთის ავტონომიური ოლქის მიერ, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად" გამოცხადება, რომელსაც კანონიერი უზენასი საბჭოს მხრიდან მოჰყვა სრულიად კონსტიტუციური ქმედება – მის მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს გაუქმდა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" და ერთხელ და სამუდამოდ იურიდიულად გადაწყდა საქართველოს ამ ძირძველი მიწა-წყლის შიდა ქართლის (სამაჩაბლოს და საფალავანდოს) საკითხი. უფრო მეტიც, 1991 წლის 23 მარტს, დაბა ყაზბეგში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარეს ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ბორის ელცინს შორის ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რის თანახმადაც გადაწყდა, რომ შიდა ქართლისა (სამაჩაბლოს) საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს პრეროგატივა უნდა ყოფილიყო და სხვა არავისი. ამ დოკუმენტის მე-4 პუნქტში ხაზგასმულია, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს უნდა გაეყვანა აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. ამის შემდეგ, 1991 წლის მაისში სსრკ, რუსეთისა და საქართველოს პარლამენტების სამმხრივმა კომისიამ შექმნა დოკუმენტი – შიდა ქართლის საკითხის მოგვარების, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივად ცნობის შესახებ. 1991წლის, 25 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ბორის ელცინთან შეხვედრაში განმარტა, რომ არ არსებობს ორი ოსეთი, არამედ არსებობს მხოლოდ ერთი ჩრდილოეთ ოსეთი, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით გადაჭრა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თამჯდომარესთან ბორის ელცინთან ერთად, ხოლო შევარდნაძის კანიბალურ-ტერორისტულმა რეჟიმმა პირიქით, პუტჩის შემდეგ, ჯერ ფეხქვეშ გათელა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და შემდეგ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში შეთანხმებული, პროვოცირებული ომი წამოიწყო, რის შედეგებსაც აგერ უკვე 20 წელია ვიმკით, ხოლო მისი პოლიტიკური შვილობილი სააკაშვილი თავისი მამათმავრულ-სადისტური რეჟიმით, 2008 წლის 7 აგვისტოს, ასევე შეთანხმებული, პროვოცირებული ომით შეიჭრა სამაჩაბლოში და ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იქიდან საბოლოოდ გამოდევნა.

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საგაზეთო პუბლიკაციებზე

პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების გახმოვანება-აფიქსაცია-გრამატიზაციას, – მისი თანმხლები რთული და მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესების შედეგად,– მოსდევს თავდაპირველი ბუნებითი ვითარების მნიშვნელოვანი ცვლილება, იკონურობის ხარისხის შემცირება, ხშირად სრულიად მოშლა, შესაბამისად: – ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენის ჩაქრობა, პირველადი (ამოსავალი) მოტივაციის მიჩქმალვა ან სრულიად მოშლა, რის შედეგადაც, ნაცვლად ადრინდელი ცოცხალი,მეტყველი, იდეამტარებელი ფუძისა, მიიღება უტყვი პირობითი ნიშანი. ასე, მაგალითად:

1) იკონურობის ხარისხი, წინამავალ შორისდებულებთან: „ჯღრრრჯღრრრ“,„შრრრშრრრ“, „შხრრრშხრრრ,“ მიმართებაში, მეგრულ-ქართულის შესაბამისი შესატყვისობებიდან: ჯღ)რჯღ-ინი – ჯიჯღ-ინი, შ)რშ-ინი – შიშ-ინი, შხ)რშხ-ინი – შიშხ-ინი, შედარებით უფრო მაღალია მეგრულის ფორმებში, ვიდრე ქართულისაში, რაც ქართულის ფორმათა სრული გახმოვანების შედეგად წარმართული ფონეტიკური პროცესებით არის განპირობებული (სხვათა შორის, ეს ფაქტი განაპირობებს რ ბგერის მეტ სიხშირეს მეგრულის კონსონანტურ ჯგუფებში, ვიდრე ქართულისაში, აგრეთვე ჭანურისაში, და, იგი საერთოდ ქართველური ენების ერთობის პერიოდის კუთვნილებად წარმოგვიდგება);

2) ერთი შეხედვით, არავითარი ხმაბაძვითობა არ იკითხება, მაგალითად, ქართულის ფორმებში: „ლოყა“, „წუწკი“, „წინწკლებიანი“, „დაბრუნდა“, და სხვა, მაგრამ გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ესენი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა.

ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმების მნიშვნელოვანი ნაწილის უტყვ პირობით ნიშნებად გადაქცევას ემატება „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნების შემოღება ენაში და იგი, საბოლოო ანგარიშით, იქცევა პირობით ნიშანთა სისტემად. თანამედროვე ენა ასეთად გვევლინება. ეს აძნელებს ენის წარმოშობის თავდაპირველი საფუძვლის – ბუნებითობის – წაკითხვადობას.

ამრიგად, საგნის (სხვა ობიექტური მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს საგნის ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა და იკონურობა. რაც შეეხება ნიშანთა პირობითობას (იგულისხმება „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნები), იგი მეორეული (გვიანდელი) მოვლენაა ენაში.

ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების გახმოვანება-აფიქსაცია-გრამატიზაციის პროცესში, როგორც უკვე ითქვა, პირველქმნილი ემფატიკური ნახევრადხმოვანი) ბგერა, თანხმოვნებთან ურთიერთობის პირობებში, გვაძლევს სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტებს, როგორც ხმოვანი ბგერების, ასევე, ხმოვან-თანხმოვანი, ცალკეული თანხმოვანი (კერძოდ, სონორი) და თანხმოვან-ხმოვანი ბგერების სახით, რომლებიც, თავიანთ მხრივ, იქცევიან მორფოლოგიურ ოდენობად, სემანტიზირდებიან და გვევლინებიან კონკრეტული ფუნქციამტარებლობის მქონე აფიქსებად, – პრეფიქსებად, სუფიქსებად, ინფიქსებად, ზმნისწინებად, სხვა სახის საგრამატიკო საშუალებებად, კერძოდ: 1) ხმოვნები გვევლინებიან სუფიქსებად,ინფიქსებად (შიგაგა-მახმოვანებლებად, შიგა ფლექსიის სახით) და პრეფიქსებად, სხვადასხვა ნიშნების სახით; 2) თანხმოვნები გვევლინებიან პირის, კლასკატეგორიის და სხვა ნიშნებად; 3) ხმოვან-თანხმოვნები გვევლინებიან სუფიქსებად, თემის, კონტაქტის, გვარის და სხვა ნიშნების სახით; 4) თანხმოვან-ხმოვნები გვევლინებიან პრეფიქსებად და ზმნისწინებად.

ეს იმიტომ, რომ ემფატიკური) ბგერა (საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფციით ნეიტრალური ხმოვანი [ʊ]) წარმოადგენს უთავდაპირველეს ბგერას ადამიანურ მეტყველებაში, თანაც, – ერთდროულად, სასუბიექტო და საობიექტო დანიშნულების ბგერას. ამას ადასტურებენ შემდეგი ფაქტები:) ბგერა გაისმის ნებისმიერი ეროვნების ახალდაბადებული ბავშვის ბაგეთაგან. მისი პირველი აჭყვირებიდანვე;) ბგერას იყენებენ ცალკეც () და §-სთან ერთადაც (§)), საგნებისა და ერთმანეთის საჩვენებელ-მისათითებლად, ყრუ-მუნჯები. ამავე დანიშნულებით ხშირად ვიყენებთ მას, ჩვენც, მეტყველი ადამიანები.) ბგერას იღებენ ცხოველებიც კი.

ძირისეული თანხმოვნური ფორმების გახმოვანება-აფიქსაცია-გრამატიზაციის პირობებში) ბგერა თანდათანობით გადის არენიდან, მაგრამ იგი სავსებით კი არ ქრება, კი არ იკარგება, არამედ მარცვლის მახვილის სახით განსხვეულდება იმავე ხმოვან ბგერებში (აგრეთვე სონორებში) და, მათვე გადასცემს საკუთარ ფუნქციებს, მათ შორის, მარცვალწარმომქმნელ (მოცემული ბგერების სონორობის კვალობაზე) და დეტერმინაციულ ფუნქციებს. ამიტომაც სრული გახმოვანების ენებში) ბგერა სამეტყველო ბგერითს შემადგენლობაში არა გვაქვს. თუმცა ეს ბგერა სახეზეა (ხშირად გაისმის) ნებისმიერი ენის მეტყველებაში. აღნიშნულ საფუძველზე,) ბგერა წარმოადგენს დედამიწაზე არსებული ენების საყოველთაო კუთვნილებას, – საყოველთაო აფიქსის სახითაც, – მათი დასაბამიდანვე.

ენაში ცალკე სახით არსებული) ბგერისაგან მიიღება ერთეული ხმოვანი ბგერები ()®ა,)®ე და ა. შ.), რომელთაც საკუთარი დანიშნულება ეკისრებათ. ასე, მაგალითად, ა-თი ჩვენ ვუჩვენებთ ჩვენთან ახლოს მყოფ საგანს, ე-თი – ხან ახლოს მყოფ და ხან შორს მყოფ საგანს, უ-თი – საგნის მოქმედების უკუმიმართულებას, ხოლო ო-თი ვუდასტურებთ ერთმანეთს ურთიერთნათქვამს (ეს ასეა ქართველურ ენებში).

ზემოადნიშნული ცხადყოფს, რომ თანხმოვნები და ხმოვნები ენაში სხვადასხვა დანიშნულებისანი არიან, რასაც განსაზღვრავს მათი წარმომავლობითი (გენეზისური) სხვადასხვაობა. ამ საფუძველზე, „თანხმოვნები გვევლინებიან იდეამტარებლებად ადგილისა და დროის განუსაზღვრელად, ხოლო ხმოვნები – იდეის განმსაზღვრელებად ადგილისა და დროის მიხედვით“. (ეს თეორია, დამტკიცების გარეშე, დაფიქსირებულია ი. ყიფშიძესთან)

ძირისეული თანხმოვნური ფორმების პირველადობის დამადასტურებელია ამგვარი ფორმების უხვად შემონახვა მეგრულში, მეტნაკლებად სხვა ენებშიც, მაგალითად, ჩეხურში (влк „მგელი“), სერბულში (срч „მუხა“), რუსულში (ტ)პ)ტ) თქარა-თქური) და ა. შ. მასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ რიგ ენებში, მაგალითად, არაბულში, სიტყვების ძირებად გვაქვს თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები შიგა ფლექსიას წარმოადგენენ (ასე, მაგალითად, ფორმებში: ცატალა „მოკლა“, ცუტილა „მოკვდა“, დარაბა „დაკეტა“ დურიბა „დაიკეტა“, ძირებია: (ცტლ, დრბ); მისივე დადასტურებად (ან გამოძახილად) უნდა მივიჩნიოთ ძველად მხოლოდ თანხმოვნებით წერა ფინიკიურში, ბერძნულში, სხვა ენებში.

ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების პირველადობის დამადასტურებელია ენის ლექსიკის (მეგრულის მიხედვით) უდიდესი ნაწილის (99,2 პროცენტის) ამგვარ ფორმებზე დამყარების ფაქტი. მასზევე მეტყველებს ამგვარი ფორმების წარმოქმნის, საგნების სახელდების, იგივე, სიტყვის დაბადების, და სამეტყველო ბგერების წარმოშობის, მათს საფუძველზე, – ენის წარმოშობის ახსნადობა, მისი წარმოჩენა-გამომზიურების შესაძლებლობა, რასაც, სავსებით ნათლად წარმოაჩენენ ჩვენი საენათმეცნიეროი ნაშრომები, ამასთან, ისინი ცხადყოფენ, იმასაც, რომ ენის წარმოშობის შესახებ არსებული (მაგრამ ენათმეცნიერების მიერ პრაქტიკულად უარყოფილი) ყველა თეორია მართებულია, ოღონდ გარკვეული (თავთავიანთი) კუთხით და ხმაბაძვითობის თეორიის პრიორიტეტულობის პირობებში.

თავდაპირველად ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით მეტყველების დამადასტურებელ კლასიკურ მაგალითს, მეგრულში, წარმოადგენს ფორმა (სიტყვა) ჯღ)რჯღ).

ჯღრრრ ჯღრრრ! გვესმის ხოლმე, ჩვენ, ერთ-ერთი ფრინველის ძახილი და ამ ფრინველს დღემდე ქვია ჯღ)რჯღ). ცხადია, აქედანაა მიღებული, შემდგომში, ფორმები: ჯღ)რჯღ-ინ)-ნც), ალა-ჯღ)რჯღ-ინ)ნც), ინოჯღ)-რჯღ-ინ-ნც), ქ)მო-ჯღ)რჯღ-ინ) და სხვა, სულ 1179334 სიტყვა, რაც დასტურდება თუნდაც იმით, რომ ამგვარი ფორმები არასოდეს წარმოუთქვამს (გაუღია) აღნიშნულ ფრინველს.

ანალოგიურად, კრრრ კრრრ! გვესმის ჩვენ ქათმის მიერ გაღებულ ბგერებში, ან კიდევ, ნაკადულის რაკრაკში და აქედანაა მიღებული ფორმებიც: კარკ-ალი (1. კაკ-ან-ი; 2. რაკრაკ-ი), კარკალ-ან-ც) (კაკანებს ან რაკრაკებს), კარკ-ალ-აფ-ა (კაკანება, რაკრაკება) და სხვა.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მეგრულისთვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებანი: მეგრულის ორმარცვლიანი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები, ჩვეულებრივ, განიცდიან შიგაგახმოვანებას (ინფიქსაციას) ხუთივე, ან 4 ხმოვნით, ანდა 3 ან 2 ხმოვნით, მაშინ როდესაც ქართულის თუნდაც იგივე ძირისეული ფორმები მხოლოდ ერთი ან ორი ხმოვნითღა განიცდიან შიგაგახმოვანებას. მეგრულის შიგაგახმოვანებული ძირისეული ფორმები კი, ჩვეულებრივ, უხვად ირთავენ ამ ენის მრავალრიცხოვან აფიქსებს: სუფიქსებსა და პრეფიქსებს, ასევე ზმნისწინებს და სხვა საგრამატიკო საშუალებებს (მაგალითად, ქო-დადასტურებით და ვა და ვე უარყოფით ნაწილაკებს) და გვაძლევენ წარმოუდგენლად მდიდარ ლექსიკას.

ასე, მაგალითად: ბუზის ბზუილის გამომხატველი ბზზზ შორისდებულისგან მიღებული ბზ(‖ბ)ზ)) ძირისეული თანხმოვნური ფორმა, მეგრულში, განიცდის რა 5-ვე ხმოვნით შიგაგახმოვანებას, ამგვარი ხმოვნური ძირების შემდგომი აფიქსაციაგრამატიზაციით გვაძლევს 1338422 სიტყვას, მაშინ როდესაც ქართულში იგივე ძირისეული თანხმოვნური ფორმა განიცდის შიგაგაცმოვანებას ერთადერთი უ ბგერით, არ ირთავს ზმნისწინებსა და აფიქსებს და გვაძლევს მხოლოდ 10-მდე სიტყვას.

ანალოგიურ საფუძველზე: ბ)წკ) ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკა მეგრულში დაითვლის 3015055 სიტყვას, ქართულში კი მხოლოდ 4 სიტყვას; ფ)შქ) და გვ)ნჯდ) ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებზე დამყარებული ლექსიკები, მეგრულში, შეადგენენ, შესაბამისად: 1936303 და 1275908 სიტყვას, ქართულში კი ასეთი ძირისეული თანხმოვნური ფორმები, და, ცხადია, შესაბამისი ლექსიკები არ გაგვაჩნია.

განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება კ)რკ) ძირისეული თანხმოვნური ფორმა მეგრულში. იგი ითვლის 4611543 სიტყვას. ქართულში კი ამავე ფორმის ლექსიკა მხოლოდ 120-მდე სიტყვას ითვლის.

ამჯერად, მოკლედვე, წარმოვადგინოთ მეგრული ენის ლექსიკის შემადგენლობის ჩვენს მიერ მოძიებული წინანდელი და საბოლოო მანაცემები.

როგორც ცნობილია, ჩვენს შვიდტომეულში „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ (თბ., 2007) წარმოდგენილია და იკითხება 103 მილიონამდე სიტყვა, – ქო დადასტურებითი და ვა და ვე უარყოფითი ნაწილაკებიანი ფორმების გარეშე, ხოლო, 294 მილიონამდე სიტყვა, – ამგვარი ფორმებითურთ;

ამ უკანასკნელად შედგენილ ოცტომეულში „მეგრული (კოლხური, იბერიული, იაფეტური) ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“ (კომპიუტერული ამონაბეჭდი და ვერსია), დაფიქსირებულია (იკითხება) 1 მილიარდ 410 მილიონონ 145 ათას 286 სიტყვა.

ამასთან, ორივე ეს ლექსიკები, ცალ-ცალკე, ემყარება მეგრულის ლექსიკის წარმომდგენ ერთი და იმავე 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, მათ შორის, ზმნური ფონდის ლესიკებიც, ცალ-ცალკე, ემყარება, ამ ფონდის წარმომდგენ ერთსა და იმავე 2202 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას. ამ ლექსიკებს შორის არსებული ზემოთ აღნიშნული დიდი განსხვავება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ოცტომეულში სრულად არის მოხმობილი მეგრულის მთელი ზმნური ფონდი, ანუ, შვიდტომეულისგან განსხვავებით, აქ, დამატებით წარმოდგენილია და აღრიცხულია მეგრულის ზმნის ნატვრითი, პირობითი, ნატვრით-პირობითი, პოტენციალისის, წარსული უსრულის, ხოლმეობითის (მრავალგზისობის), თურმეობითის, დათმობითის, ოთხპირიანი გაგების, დადასტურებითი, უარყოფითი და სხვა სახის ფორმები, რომლებიც სალექსიკონო მასალად ანუ ლექსიკონში შესატან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებად განიხილებიან.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ კი შვიდტომეულში შეტანილი მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი 2202 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმასთან წარმოდგენილი იყო 119 დერივატი (მნიშვნელობამცვლელი) საგრამატიკო საშუალება, ოცტომეულში ამ უკანასკნელთა რაოდენობა შეადგენს 525 ერთეულს.

მაშასადამე, ოცტომეულის მიხედვით მეგრულ ენაში გვაქვს 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმა, რაც აფიქსირებულ-გრამატიზირებულია ამ ენაში არსებული 525 დერივატი საგრამატიკო საშუალებებით, რისგანაც მიღებულია ამ ენის კოლოსალური ლექსიკა, რაც დაითვლის 1410145286 სიტყვას. აქედან კი ზმნურ ფონდს (ზმნებსა და სახელზმნებს) განეკუთვნება 99,99 პროცენტი, და მხოლოდ 0,01 პროცენტი (26000-მდე სიტყვა) განეკუთვნებაა სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკას.

ოცტომეულში მეგრულის ზმნური ფონდი შეტანილია 17 ტომში, კერძოდ, II–XVIII ტომებში, „მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით. ამ ხერხით მასში წარმოდგენილია და იკითხება სულ 1410119286 სიტყვა, საშუალოდ ყოველ ერთ გვერდზე კი, 200000-მდე სიტყვა. დანარჩენი ლექსიკა კი წარმოდგენილია XIX ტომში მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის სახით, რაც დაითვლის 26000-მდე სიტყვას. ასეთ პირობებში, დადგინდა შემდეგი რეალობებიც:

მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი 2202 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმა ანუ 85 პროცენტი. მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდის და თვით ამ ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი, და მხოლოდ 0,8 პროცენტი განეკუთვნება არახმაბაძვით ფორმებს.

ცხადია, რაკი მეგრული ენის ზმნურ ფონდი შეადგენს ამ ენის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტის, ამიტომაც, მეგრული ენის ზმნური ფონდის სიტყვათწარმომავლობის შესწავლით, ჩვენ პრაქტიკულად, შევისწავლეთ ამ ენის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტის სიტყვათწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია. ეს მოხდა შემდეგნაირად:

რაკი დადგინდა, რომ, მაგალითად, ფ)შქ) ძირისეული თანხმოვნური ფორმა ხმაბაძვითი წარმომავლობისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხმაბაძვითი წარმომავლობისაა ამ ძირზე დამყარებული მთელი ლექსიკა, რაც დაითვლის 1936303 სიტყვას, და ა. შ.

ეს იმიტომ, რომ როგორც ჩვენს მიერ დადგენილ იქნა და ზემოთ წარმოდგენილი მოკლე ანალიზითაც ნათლად ჩანს, მეგრულის (და არა მარტო ამ ენის) საგრამატიკო საშუალებები, ჩვეულებრივ, წარმოშობილია პირველქმნილი ემფატიკური ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერისაგან, ანუ წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს.

ამჯერად, შევიხსენოთ ჩვენი ზემოაღნიშნული შემდეგი დებულება: თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და ამათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მოკლე კვლევა-ძიებითი მონაცემებიდანაც ნათელია, მეგრული ენის მთელი კოლოსალური ლექსიკა დამყარებულია 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე, ანუ წარმოადგევნს ამათ აფიქსირებულ-გრამატიზებულ ფორმებს, მათს ერთობას. საამისოდ კი გამოყენებულია 525 დერივატი საგრამატიკო საშუალება, მათ შორისაა: 76 პირველადი-საწყისისეული სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი, 6 ინფიქსი, 11 პრეფიქსი, 94 ზმნისწინი და 3 (ქო, ვა, ვე) ნაწილაკი.

ცხადია, აღნიშნული საგრამატიკო საშუალებებია დართული, მეტ-ნაკლები რაოდენობით, მეგრულის ლექსიკის წარმომდგენ 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებთან. ისინი, თავიანთი ფუნქციებისდა მიხედვით, უცვლიან ხოლმე მნიშვნელობას მოცემულ ძირისეულ ფორმებს ანიჭებენ ახალ-ახალ მნიშვნელობებს, იგივე ძირისეულ ანუ ლექსიკურ მორფემებს და გვაძლევენ ახალ-ახალი მნიშვნელობის სიტყვებს.

მეგრულის დერივატი საგრამატიკო საშუალებებიდან, კერძოდ, სუფიქსებისა და ზმნისწინების აბსოლუტური უმრავლესობ რთული ფორმებია, ანუ წარმოადგენენ შესაბამის მარტივ ფორმათა განაერთებს.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ!

(გაგრძელება მე-9 გვერდიდან)

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული 1991 წლის 15 სექტემბერის დადგენილებაც, რის მიხედვითაც სსრკ–ს (რუსეთის) სამხედრო ძალებს საოკუპაციო სტატუსი მიენიჭათ).

რაც შეეხება აფხაზეთის თემას აქაც უდიდესი დანაშული ჩაიდინა ხუნტამ, შევარდნაძის მეთაურობით, ხელისუფლებაში მოსვლისათანავე გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რამაც შექმნა კონსტიტუციური ვაკუუმი და აფხაზ სეპარატისტებს მიეცათ საშუალება უკანონოდ აღედგინათ 1925 წლის საბჭოთა პერიოდის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. იმ დროს, როდესაც ზვიად გამსახურდია მოუწოდებდა აფხაზებს არ გადაედგათ ეს დანაშაულებრივი ნაბიჯი, რაც მტრის ხატის შესაქმნელად ხუნტის ინტერესებში შედიოდა და ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ ამ საბჭოთა წარმონაქმნის საიკითხი მშვიდობიანად გადაეწყვიტა და რეფერენდუმი გზით გადაწყდა კიდეც.

აი, ნამდვილი ე.წ. იურიდიული საფუძველი იმისა, რამაც მისცა სეპარატისტებს საშუალება რომ მიეტაცებინათ საქართველოს ძირძველი ტერიტორიები. ასე რომ შევარდნაძის მემკვიდრე საკაშვილ-ივანიშვილ-დარიბაშვილ-მარგველაშვილ-უსუფაშვილის მაფიოზურ-კლანური ე.წ. ხელისუფლებები ტყუილად ღვრიან ნიანგის ცრემლებს, რადგან მათ მიერ საქართველოს მიწა-წყლის გაყიდვა-გასხვისება ხუნტის მეთაურის შევარდნაძისა და ხუნტის მემკვიდრე მიმდევართა მხრებზეა. ისინი დღესაც აგრძელებენ იმ დამღუპველ სახელმწიფო პოლიტიკას, რასაც პუტჩის მამა-მთავარმა შევარდნაძემ ჩაუყარა საფუძველი.

ეს ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს და გაითავისოს: რომ 31 მარტის რეფერენდუმის აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც, საერთაშორისო სამართლით, საქართველოს ნაწილები – კუთხეებია, (როგორც ისტორიულად ასევე იურიდიულად), რომ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების ბერკეტი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას უპყრია ხელთ, მხოლოდ მას შეუძლია გააუქმოს ის საიდუმლო ხელშეკრულებები, რომელიც ხუნტის მეთაურმა და მათმა მამა-მარჩენალმა შევარდნაძემ დადო რუსეთთან ზემოთჩამოთვლილი ხელშეკრულებების სახით, კერძოდ დაგომისში 1992 წელს (24 ივნისი)დადებული საიდუმლო ხელშეკრულების საფუძველზე.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმზე ქართველმა ერმა ერთხმად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობას ყოველგვარი იმპერიების ჩარევის გარეშე და რომლის მიხედვითაც, იურიდიულად საქართველო კვლავ დამოუკიდებელი და ერთიანი ტერიტორიების მქონე ქვეყანაა, ამიტომაც აქვთ ნაბრძანები საქართველოს საინფორმაციო საშუალებებს საქათველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური კონსტიტუციური კანონიერი ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს – აღდგენის ეროვნული კომიტეტის მოწოდება-მიმართვები უკანონობის წინააღმდეგ არ იქნას გაშუქებული საქართველოს მედია სივრცეში (თუ არ ჩავთვლით იმ გაზეთებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ კომიტეტის განცხადებების გამოქვეყნებას) ეს ერთადერთი ის ძალაა, რომელსაც ე.წ. ხელისუფლება, ვითომდაც ვერ ამჩნევს და იქვე თავისივე მორევში ხან ერთ პარტიას ასახელებს ოპოზიციურ ძალად და ხანაც მეორეს, რათა ამ ქვეყნის ნამდვილი პატრონის კონსტიტუციური ხელისუფლების – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არსებობა ხალხისთვის მიიჩქმალოს.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას და სცრუობენ ისინი და შეცდომაში შეყავთ მსოფლიო საზოგადოება, ვინც გაიძახის, რომ თითქოს საქართველომ აირჩია ევრო-ატლანტიკური გზა, რადგანაც 2002 წლის ე.წ. ხუნტის უკანონო არჩევნები მათ მიერვე იქნა აღიარებული გაყალბებულად. აქედან გამომდინარე ქართველი ხალხის ნატო-ში გაერთიანების ნება-სურვილი, ისევ და ისევ მტკნარი სიცრუეა. საქართველოს ტერიტორიების რეალურად აღდგენა, ჩვენი ერის დაუძინებელი მტრის, ამ ე.წ. საქართველოს ხელისუფლებების, ცხადია რუსეთის იმპერიის და ასევე რეაქციული დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ გეგმებშიც, საერთოდ არ შედის. ამის გამო, დღეისათვის, ახალი თაობა ტრაგიკულ და თუ შეიძლება ითქვას კატასტროფიულ მდგომარეობაში აიმყოფება, მათი დიდი ნაწილი, საქართველოს ახალი სოროსული ისტორიით იკვებება და არ იცის საკუთარი სამშობლოს გადარჩენის ჭეშმარიტი გზა.

ამ წითელ, ცისფერ, მწვანე, მასონურ, ე.წ. ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომელსაც თავისი ბოროტმოქმედების გასამართლებლად, დღე და ღამ, პირზე, ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია აკერია, არავითარი საერთო არ აქვთ დასავლეთის ცივილიზირებულ ღირებულებებთან. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი საერთოდ მიჩქმალული აქვთ, რათა ამ მიმართებით, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებანი დაფარონ. საქართველოს ისტორია ეს ხომ მტრის შემოსევებისა და მასთან უთანასწორო ბრძოლების ისტორიაა, მაგრამ მისი ოკუპაცია-ანექსია, როგორ ფორმითაც ეს დღეს ხდება, არასდროს მომხდარა.

ქართველ ხალხს კი ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვებით მივმართავთ:

„ჩვენ, ძმანო ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან, ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედიღბალს და გაგვთელავს ეს კოსმიური გველეშაპი, პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარქვეშ მოდის ანტიქრისტე; მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება. გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას! ამინ!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ (ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი;
ᲑᲔᲡᲘᲝ (ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ) ᲛᲘᲫᲐᲕᲐ,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;
ᲛᲔᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ (ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ)
ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;
ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲝᲩᲘᲑᲐᲕᲐ,
პოლიტდევნილი;
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲫᲝᲑᲐᲚᲘᲐ,
ჟურნალისტი;
ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
ადამიანის უფლებადამცველი;
ᲒᲝᲑᲘ ᲡᲝᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტდევნილი;
ᲛᲖᲘᲐ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ,
დევნილი ჟურნალისტი;
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲘᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;
ᲑᲠᲘᲑᲝᲚ ᲑᲝᲑᲕᲔᲠᲐᲫᲔ,
მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი;
თბილისი, 2014, 23 ნოემბერი, გიორგობა

ᲑᲠᲘᲞᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘ

შემოდგომა-ზამთრის სეზონი ხასიათდება გრიპოზული დაავადებების სიხშირით. მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში არ იცნობს ამ დაავადებების თავისებურებებსა თუ სიმპტომატიკას; აქედან გამომდინარე, დროულად ვერ ახდენს სათანადო რეაგირებასა და ავადმყოფობა რთულდება, რაც ახანგძლივებს და ართულებს მკურნალობის პროცესს.

ამითომაც, ვთვლით, რომ საჭიროა მოსახლეობა იყოს ინფორმიერბული, თუ რა დამახასიათებელ ნიშანს ატარებს თითოეული დაავადება და როგორია მისი პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების გზები.

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ფართო გავრცელებით. ცნობილია გრიპის რამდენიმე პანდემია, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1889 წლის პანდემია. დაავადდა მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 50%, და 1918-1920 წლების პანდემია, როცა მსოფლიოში გრიპით ავად გახდა 500 მილიონი ადამიანი, მათგან 20 მილიონი დაიღუპა. აღნიშნული პანდემია ცნობილია "ისპანკა"-ს სახელწოდებით, იმ დროს მიმდინარე მსოფლიო ომში ესპანეთი არ მონაწილეობდა და როგორც ნეიტრალურმა სახელმწიფომ განაცხადა გრიპის ეპიდემიის არსებობა თავის სახელმწიფოში. აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც. ბოლო წლებში გრიპის პანდემია იყო 1957, 1961, 1967 და 1969-70 წლებში, შედარებით ნაკლები ლეტალობით. მაგალითად, 1957 წლის პანდემიის დროს დაავადდა 2 მილიარდამდე ადამიანი და დაიღუპა 1 მილიონამდე კაცი.

გრიპის გამომწვევია ვირუსი, რომელიც 1933 წ. აღმოაჩინეს სმიტსმა, ენდრიუსმა და სმოროდინცევმა. გამოყოფილია ვირუსის ა, $ა^1$, $ა^2$, და ჩ ტიპები. გრიპის ვირუსი გარემოში ნაკლებად გამძლეა, ადვილად იღუპება სადეზინფექციო ხსნარების, სითბოსა და მზის სხივების მოქმედებით. 60^0-ზე იღუპება 5 წუთში, ადუღებისას მაშინვე. გრიპის ვირუსი ვერ უძლებს მჟავებისა და ტუტეების სუსტ ხსნარსაც კი.

ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი, გადაცემა ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. ავადმყოფი გადამდებია დაავადების პირველ დღეებში. ეპიდემიებს შორის პერიოდში გრიპი გვხვდება ერთეული (სპორადიული) შემთხვევების სახით, რაც განაპირობებს გრიპის შემდგომ აფეთქებებს. გრიპის საწინააღმდეგო იმუნიტეტი ხანგრძლივი არ არის, ამასთან ვირუსის სხვადასხვა ტიპი ერთმანეთის საწინააღმდეგო იმუნიტეტს არ იძლევა.

ვირუსის შეჭრის ადგილია ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანი, რომლის ეპითელიუმშიც ჩასახლდება იგი, მრავლდება და იწვევს ეპითელიუმის ნეკროზს. ვირუსის მიერ გამოყოფილი შხამი იწვევს ზოგად ინტოქსიკაციას. პათანატომიური სურათი გამოიხატება სასუნთქი გზების ეპითელიუმის ნეკროზსა და სისხლჩაქცევებში, პარენქიმულ და ცხიმოვან გადაგვარებაში, კატარულ-ჰემორაგიული პნევმონიისა და გლუვი კუნთების ინტენსიციურ ანთებაში.

ინკუბაციური პერიოდი გრძელდება რამდენიმე საათიდან 1-2 დღემდე. დაავადება იწყება ერთბაშად, შემცივნებით, სახსრების ტკივილით, დამტვრეულობით, ძლიერი თავის ტკივილით, ტემპერატურითა (38-39^0) და ოფლიანობით. ავადმყოფს ხშირად ტუჩებისა და ცხვირის არეში აქვს ჰერპესი. სახეზე წამოწითლებულია და აღენიშნება კონიუნქტივიტი, აწუხებს მშრალი ხველა, კუნთების ტკივილი. ადინამია თანდათანობით მატულობს. გრიპისათვის დამახასიათებელია თვალბუდის (თვალის კაკლის) ტკივილი, რომელიც ძლიერდება ზეწოლით, გვერდზე მიხედვის დროს. ტემპერატურა ჩვეულებრივ გრძელდება 3-5 დღე და კრიზისის შემდეგ ეცემა ნორმამდე, მაგრამ შეიძლება კვლავ მოიმატოს რამდენიმე დღის შემდეგ, ე.ი. გვექნება ორკუზიანი ტემპერატურული მრუდი. გრიპით დაავადებულ ავადმყოფს მაჯა შენელებული, გულის ტონები მოყრუებული და არტერიული წნევა დაქვეითებული აქვს. ფილტვების მოსმენით აღინიშნება მშრალი ხიხინი (ბრონქიტი). ავადმყოფს პირველი დღეებიდანვე მადა ეკარგება, ენა შეელესება. აღენიშნება ხახის ლორწოვანის ჰიპერემია, ზოგჯერ ენანთემები, ღვიძლი და ელენთა არ ესინჯება. აღწერილი ტიპური კლინიკური მიმდინარეობის გარდა არსებობს აგრეთვე ატიპური და ელვისებრი ფორმები. ატიპური (წაშლილი) ფორმისას ტემპერატურა სუბფებრილურია, კლინიკური ნიშნები გამოხატულია სუსტად, დაავადება ჩათავდება 1-2 დღეში. ელვისებრი ფორმა ვითარდება სწრაფად, ახასიათებს ძლიერ მაღალი ტემპერატურა, ჰემორაგიული მოვლენები (სისხლიანი ნახველი) და ავადმყოფი იღუპება პირველ დღეებში. გრიპის დროს სისხლში აღინიშნება ლეიკოპენია, შედარებითი ლიმფოციტოზითა და ნორმალური ედს-ით.

გრიპის გართულებებია: ფილტვების ანთება, ენცეფალიტი, მენინგოენცეფალიტი, შუა ყურის ანთება, სახის ნერვის პარეზი და სხვ. აღნიშნული გართულებები შეიძლება გამოიწვიოს გრიპის ვირუსმა, რომელიც მძიმე მიმდინარეობით ხასიათდება, ან მეორადმა გართულებამ, როცა ორგანიზმის დაუძლურების გამო, მასში არსებული და სხვა ბაქტერიები აქტიურდებიან და იწვევენ გართულებებს, აღნიშნული გართულებები განსაკუთრებით საშიშია ჩვილი ბავშვებისა და მოხუცებისათვის. ძირითადად გრიპით სიკვდილიანობა აღინიშნება ამ ასაკში გართულებების (პნევმონიის) დროს.

გრიპის დიაგნოსტიკა ეპიდემიების დროს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. დაავადების პირველ დღეებში ავადმყოფს ცხვირ-ხახიდან უღებენ ლორწოს და თესავენ ადამიანის ან მაიმუნის ქსოვილოვან კულტურაზე ან ქათმის ემბრიონზე, რომელზეც მრავლდება ვირუსები. აღნიშნული გამოკვლევა მოითხოვს დიდ დროს და ძალიან შრომატევადია. სეროლოგიური გამოკვლევისას ავადმყოფს უღებენ სისხლს და მის შრატში ადგენენ ანტისხეულების არსებობას. სავალდებულოა სისხლის აღება დაავადების პირველ დღეებში, და ორი კვირის შემდეგ. პირველ და მეორე გამოკვლევის შედარებისას სისხლში ანტისხეულების რაოდენობის მომატება მიუთითებს გრიპის არსებობაზე. იმუნოფლუორესცენციის მეთოდით ცხვირ-ხახიდან აღებულ ლორწოს უმატებენ შრატს, რომელიც შეღებილია საღებავით. თუ ლორწოში არსებობს ვირუსი იგი შეუერთდება ანტისხეულებს და ლუმინესცენტრულ მიკროსკოპში იძლევა ნათებას. ამით ადგენენ ვირუსის არსებობას და მის სახეობას.

ᲰᲔᲛᲝᲒᲚᲣᲢᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐᲓ.

გრიპის სამკურნალოდ შემუშავებულია შრატი, რომელიც მზადდება სითხის ან ფხვნილის სახით. პირველ დღეებში ტემპერატურისა და ტკივილების საწინააღმდეგოდ იყენებენ ქიმიურ პრეპარატებს. გართულების შემთხვევაში იყენებენ ანტიბიოტიკებს და სულფანილამიდებს. გრიპის დროს, გართულების გარეშე ანტიბიოტიკების დანიშვნა მავნებელია.

ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲘᲞᲝᲖᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ

პარაგრიპოზულ ინფექციას ახასიათებს ზემო სასუნთქი გზების და ხორხის ლორწოვანის ანთება. ტემპერატურული რეაქცია და ინტოქსიკაცია.

გამომწვევია ვირუსი, რომელიც 1954 წელს აღმოაჩინა ჩენოკმა. არჩევენ 4 ტიპს. პარაგრიპის ვირუსი ზომით მეტია ვიდრე ადენოვირუსი (150-250 მკმ) გარემო ფაქტორების მიმართ ნაკლებ გამძლენი არიან. გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი. გადაცემა ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. ავადდებიან ყველა ასაკის ადამიანები.

ვირუსი იჭრება ორგანიზმში სასუნთქი გზების ლორწოვანიდან და აზიანებს მის ეპითელიუმს. იწვევს ანთებას და ინტოქსიკაციას, აგრეთვე ტრაქეო-ბრონქიტსა და ლარინგიტს. ინკუბაციური პერიოდი 2-7 დღეა. დაავადება იწყება თანდათანობით, აღინიშნება ტემპერატურის მომატება, ზოგადი სისუსტე, გულისრევა, ხმის ჩახლეჩა, ხველა, სუნთქვის გაძნელება. იმის მიხედვით თუ რა ხარისხით იქნება დაზიანებული ლორწოვანი, ლარინგოტრაქეიტი ან ლარინგოტრაქეობრონქიტი (ცრუ კრუპი) აღნიშნული კლინიკური ნიშნები უფრო მკვეთრად გამოიხატება (მყეფავი ხველა, სტენოზის სურათი). პარაგრიპის გართულებებია ბრონქიტი, პნევმონია, ოტიტი, ჰაიმორიტი და სხვა. სპეციფიკური სამკურნალო საშუალებები არ არსებობს. გართულებების დროს გამოიყენება ანტიბიოტიკები.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ექიმი ბაქტერიოლოგი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალადანიას

გზა ფეხბურთიდან ეკლესიამდე – რატომ წავიდა ექსდინამოელი ფეხბურთიდან?

ფოტოზე: დავით გიგაური მარცხნივ

იყო დრო, თბილისის "დინამოში" დავით გიგაური თამაშობდა – ნიჭიერი ცენტრალური მცველი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი, რომელიც ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი თბილისის "დინამოსა" და რუსთავის "ოლიმპის" რიგებში. სამჯერ (თბილისის "დინამოს", "ლოკომოტივისა" და "გაგრის" შემადგენლობაში) საქართველოს თასის მოგებითაც გაიხარა, ერთხელ სუპერთასსაც დაეუფლა, ერთხელაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა...

მაგრამ სამი წელია, გიგაური ფეხბურთს შეეშვა და აღმოვაჩინეთ, რომ 28 წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურობს.

რატომ უგანა ფეხბურთს? რატომ გადადგა ეს ნაბიჯი? ამაზე გიგაური გულახდილად ლაპარაკობს.

ვფიქრობთ, ინტერვიუ დაგაინტერესებთ...

– ერთი ხანობა, ეროვნულ ნაკრებშიც იყავი მიწვეული.

– დიახ, ასეთიც იყო. ნაკრებში ერთხელ კლაუს ტოპმიოლერმა მიმიწვია, ექტორ კუპერმა ორჯერ მიხმო, ალბანეთთან გასვლით საკონტროლო შეხვედრა კი მათამაშა კიდეც...

– მერე? რატომღა უგანე ფეხბურთს?

– 2011 წელს "გაგრაში" ვიყავი. თასიც მოვიპოვეთ და მერე წელი ამტკივდა. ცხოვრებაშიც პრობლემები შემემქნა, პლუს, წელის ტრავმის მოსარჩენად ფული იყო საჭირო, ფინანსური პრობლემები კი კარგი და დროული მკურნალობის საშუალებას არ მაძლევდა და შევეშვი. მაგრამ მთავარი, რის გამოც ეს ნაბიჯი გაავდგი, რომ არ დაგიმალოთ, მაინც სხვა მომენტი იყო – დავფიქრდი, რას ვწვალობდი, როდესაც საქართველოში ფეხბურთს პერსპექტივა არ აქვს.

ქეცბაიას იმაში კი ვეთანხმები, რომ ჩვენს პირობებში მალე ფეხბურთელებს მეორე პროფესიის არჩევა მოუწევთ. უცებ თავში დატრიალდა ყველაფერი. ოჯახი მყავდა და არაფერი გამოდიოდა, სულ წვალება და პრობლემები იყო. თვიდან თვემდე მიღწევა მიჭირდა. მე კიდევ რა მეთქმის, "გაგრაში" ბესო ჩიხრაძე ფეხბურთელებს შვილებივით გვივლიდა. მაგრამ მარტო კაცი კლუბს ვერ მოერევა, დახმარება სჭირდება – ფეხბურთი ხომ საქართველოში სულ ხარჯია, მოგება – ნულის ტოლი და ძნელია ისეთი კლუბის ჩამოყალიბება, სადაც მოთამაშეები ურზუნველყოფილები იქნებიან. ამბობენ, ფეხბურთელები თავს არ იკლავდნენო. თავს არ ვზოგავდი და ვარჯიშიც არ მეზარებოდა. მაგრამ ეს პრობლემები არ თავდება, ძნელია მომავალზე იფიქრო. არასტაბილური გარემო ძნელია ასატანი იყო. თანაც, "დინამოდან" წამოსვლის შემდეგ მეც გული ამიცრუვდა.

ღმერთმა დამიფაროს, ვინმე განვიკითხო. მაგრამ წასასვლელი მქონდა და არ გამიშვეს. ლატვიის ჩემპიონი "ვენტსპილსი" მიწვევდა, რომელსაც მაშინ ევროპაში სატრამპლინედ საკმაოდ კარგი პირობებიც ჰქონდა და ნორმალური გუნდი იყო.

რუსეთის პრემიერლიგის გუნდიდან ჩამოსული კონკურენტი მყავდა, რომელიც ჩემს გამო გაუშვეს.

მანამდე კი მოსკოვში "თანამეგობრობის თასზე" ვითამაშე კახა ცხადაძის დროინდელ "დინამოში" და ნორვეგიული "ვალერენგა" მიწვევდა. იმ პერიოდში "ლოკომოტივში" ვთამაშობდი და ცხადაძემ იჯარის შემდეგ გუნდში დამაბრუნა. მაშინ მხოლოდ მელქაძე წავიდა. მაგრამ რაღაც ვერ გამოვიდა, ცალკე "დინამომ" არ გამიშვა... ეჰ, საწყენი იყო.

– პირადად შენი ბრალი არაფერი იყო?

– ეგეც არის, მუღამი დავკარგე. თავიდან ვარჯიშის შემდეგ სახლში რომ მივდიოდი, მეორედ დამოუკიდებლად ვვარჯიშობდი. მერე ახალგაზრდულში ვითამაშე, "დინამოში", ნაკრებშიც დაინტერესდნენ. მაგრამ უამრავი პრობლემა დამიგროვდა და უპერსპექტივობაში წვალება მომბეზრდა და უაზრობად ჩავთვალე. მანამდე თუ ვარჯიშის შემდეგ დამოუკიდებლადაც ვვარჯიშობდი, მერე საღამოს სირბილს შევეშვი და ეს დამეტყო. უშრომელად კი არაფერი მოდის და მგონი, ესაა ყველაზე მთავარი.

– ამ მეორე ვარჯიშს ბევრი ფეხბურთელი აგდებს?

– კი, ბევრი, არადა, ეს აუცილებელია. დილით 2-3 კილომეტრს რომ ირბენ და საღამოსაც დაიტვირთები, ორგანიზმი სხვაგვარად გამოცოცხლდება, ამას კი თამაშის დროს გრძნობ. პირადად მე მაგრად მშველოდა, ხალისიანადაც ვიყავი და უკეთაც ვთამაშობდი.

– შენს ძმაზე, მერაბ გიგაურზე რას იტყვი?

– მამა რომ გარდაგვეცვალა, ფსიქოლოგიურად გაუჭირდა, ვარჯიშს გულს ვერ უდებდა. ახლა მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოვიდა და ფორმის აღდგენას ცხინვალის "სპარტაკში" ცდილობს. ისე, მიხარია, რომ ორივე ძმამ ეროვნულ ნკრებში ვითამაშეთ. ჩემი ფეხბურთი დამთავრდა, მაგრამ იმედია, ის მაინც მოახერხებს მაღალ დონეზე თამაშს. ახლა სტადიონზე რომ მივდივარ, მაკანკალებს.

სამწუხაროდ, ადამიანი საკუთარ შანსს რომ ვერ გამოიყენებ, მერე ნანობ, მაგრამ გვიანია.

– ახლაც არაა გვიანი, ჯერ 28 წლის ხარ...

– კი მაგრამ მეტროში ვმუშაობ და ვაკეში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში სტიქარით შემმოსეს. ეკლესიური ცხოვრება მიყვარს და ასეც მირჩევნია. აქ კი სიკეთე და ის კეთილშობილებაა.

ქართული ფეხბურთი სიბინძურეა და ამასაც გავექეცი. მე განკითხვა კი არ მსურს, მაგრამ ზედმეტებია.

ფეხბურთელი რომ თვეობით ხელფასებს ვერ აიღებს, ის მერე ხომ ცდუნდება და ათასში ერთს ხელი წაცდება. ასეთი მოთამაშე ვითარების მსხვერპლია და არა დამნაშავე. ფეხბურთელს ფინანსურ პრობლემებს ევროპელები აგვარებენ და იქაც კი, ხელი მაინც ბევრს წაუცდება.

აქ კი უფულობაში უარესი არ მოხდება? არც სამედიცინო მომსახურებაა, არც დაზღვევა, კვება და ბევრი სხვა რამ, რის გარეშეც დიდი ფეხბურთი წარმოუდგენელია. არადა, გული იმაზე მიკვდება, რომ უნიჭიერესი ბავშვები გვყავს და გასაქანს ვერ პოულობენ.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" გულითადად ულოცავენ დაბადების დღეს სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელს ბატონ **ზურაბ კვარაცხელიას**, უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

მედგრად იდექი ქვეყნის სიკეთის სადარაჯოზე, ძმაო, ზურაბ!

უკვე გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი (№18), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი ბიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1. ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჯიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალადანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორგი სიჯინავა, ნუბზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge